შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი

სტუდენტი: გვანცა ზარანდია

ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 3
Annotation 5
შესავალი 6
თავი I. საერთაშორისო ვაჭრობა და სატარიფო პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში .. 9
1.1 იმპორტ-ექსპორტის საერთაშორისო ვაჭრობაში 9
1.2. განვითარებადი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკა 18
თავი II. იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი 27
2.1. ძალთა თანაფარდობის ცვლილება მსოფლიო ბაზარზე 27
2.2. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა 40
2.3. განვითარებადი ქვეყნების იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა 44
დასკვნა 56
გამოყენებული ლიტერატურა 58

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი, ვინაიდან ვაჭრობას და ექსპორტი-იმპორტის თანაფარდობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სავაჭრო საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს. საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის საკმაოდ მტკივნეულ გზას, რამაც შესაბამისი საგარეო – სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ინტეგრაცია უალტერნატივო მოვლენად აქცია.

Annotation

To study provides an analysis of the main index of import from developing countries, since trading and export-import ratio is important for the development of the country's economy and international relations. Some scientists go so far into assessing the role of trade, that trade and war is considered the major components of international relations. International trade has a great impact on international politics, since it creates close business connections and ties between countries. It is a factor of peace. In the modern interdependent world market economy makes international trade even more important.

Today, all countries are involved in international trade, as none of them can be self-sufficient and only provide themselves with their own production.

After gaining independence Georgia has embarked on a very painful way to liberalize trade relations, which made foreign trade policies to develop and integrate into the international trading system as an unlikely event.

შესავალი

კვლევის აქტუალობა. მსოფლიოს ქვეყნები საკუთარი ეროვნული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას უფრო მეტად ითვალისწინებენ საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურად ჩართვის აუცილებლობას, ამდენად, საქართველო, რომელმაც სულ ახლო წარსულში მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ბუნებრივია ამ გლობალური მოვლენებიდან გამონაკლისი და იზოლირებული არ უნდა დარჩეს, მაგრამ შიდა-ეკონომიკური პროცესების მოუწესრიგებლობა და ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლისას არსებულმა სიძნელეებმა რამდენადმე შეაფერხა მისი მსოფლიო მეურნეობასთან მიერთებისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების პროცესი. მთავარი მაინც ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი შეუქცევადია; მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს სამეურნეო რეფორმების რეალიზაცია. ამ ფონზე აქტუალურია საგარეო ეკონომიკური აქტივობის ძირითადი მიმართულებების განხილვა და ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმების თავისებურებებს, რომლებიც უარყოფით როლს ასრულებენ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებით. საგარეო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის 2/3 განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის უცხოური ვალუტის წყაროებს წარმოადგენს ექსპორტი, უცხოეთის ქვეყნების დახმარება, კომერციული სესხები და კერძო კაპიტალდაბანდებები. განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობა არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების გამო მცირე, არატევადი შიდა ბაზრის მქონეა. მათი მეურნეობა დაექსპორტი არ არის დივერსიფიცირებული. ამიტომ ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი განვითარებული ქვეყნების მძლავრ, ტევად შიდაბაზარზე, მათი მოსახლეობის მაღალ მსყიდველობით უნარზე. ამის გამო განვითარებადი ქვეყნები თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც იმპორტზე განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებას განსაზღვრავს. ეს იმპორტი

კიიმავე მნიშვნელობის სასიცოცხლო ექსპორტია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, მინერალურ და სასოფლო სამეურნეო ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებსა და ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციას ყიდიან. თუგანვითარებადმა ქვეყანამ ვერ მოახერხა თავისი პროდუქციის რეალიზება, მისი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი.

კვლევის სუბიექტია განვითარებადი ქვეყნები ხოლო **ობიექტს** წარმოადგენა ამ ქვეყნების იმპორტის მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი ბოლო ათწლეულების მანძილზე.

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს. საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტი-კაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დასახული მიზნის განსახორციელებლად დასახულია შემდეგი **ამოცანების გადაწყვეტა:**

1. საერთაშორისო ვაჭრობა და სატარიფო პოლიტიკის და იმპორტ-ექსპორტის მიმოხილვა-ანალიზი და განვითარებად ქვეყნებში;
2. იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი: იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა და განვითარებადი ქვეყნების გეოგრაფიული სტრუქტურა.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის საკმაოდ მტკივნეულ გზას, რამაც შესაბამისი საგარეო – სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო სავაჭრო

სისტემაში ინტეგრაცია უალტერნატივო მოვლენად აქცია.

იმ მიღწევების პარალელურად, რაც საქართველოს ეკონომიკაში ომამდელ ვითარებაში აშკარად შეინიშნებოდა და დღესაც მისი წარმატების საფუძველს წარმოადგენს, ეკონომიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები ზოგიერთ ისეთ პრობლემასაც გამოკვეთს, რომლებმაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს. აქედან ერთ-ერთი საკვანძო თემა სავაჭრო დეფიციტის განუხრელი ზრდა გახლავთ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მასშტაბური ხდება. შესაბამისად, იზრდება ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი და მის შიგნით სუსტდება არა მხოლოდ საექსპორტო, არამედ იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივის მქონე ადგილობრივი სექტორებიც. სავაჭრო სალდოს გაუარესება თავისი შინაარსით კომპლექსური პროცესია და მისი გამომწვევი ფაქტორთა მთელი წყებაა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ადგილი და ხვედრითი წილი აქვს, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე გარემოება, რომელთა გავლენაც მიდინარე პროცესზე ყველაზე თვალსაჩინოა. იმპორტის გაზრდას, ერთის მხრივ, სავაჭრო ტარიფების განულების ტენდენცია უწყობს ხელს, რაც თავისთავად მისასალმებელი ტენდენციაა, რადგან ვაჭრობის გაიოლებას და გაიაფებას მოასწავებს. თუმცა, იმავდროულად გასაცნობიერებელია ის რისკი, რომ ამგვარი პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობებს ამცირებს და იმპორტული პროდუქციით ბაზრის სრული გაჯერების ალბათობას კიდევ უფრო მეტს ხდის.

თავი I. საერთაშორისო ვაჭრობა და სატარიფო პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში

1.1 იმპორტ-ექსპორტის საერთაშორისო ვაჭრობაში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა (საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა) შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩასახვა და განვითარება, ისტორიული თვალსაზრისით, ექსპორტ-იმპორტის ფორმით დაიწყო. შემდგომში კი მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა საერთაშორისო ბიზნესის სხვა ფორმებიც.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის ,,ზოგად მეთოდს", რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტიმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმს მისი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა წარმოადგენს. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ესპორტიორი ქვეყნის ფრანკოსაზღვრის ფასებში. იმპორტი აღრიცხულია CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ფასში ჩართულია იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე მისი ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები. ყველა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაცია იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საქონლით (მატერიალური პროდუქტებით) ვაჭრობა, როგორიცაა ნედლეული, მასალები, ავტომობილები, ტანსაცმელი, კომპიუტერები და სხვ. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტში ვაჭრობის ასეთი ტიპი აღინიშნება ტერმინით „,,საქონლის ექსპორტ- იმპორტი" (მაგალითად აშშ-ში აღინიშნება ასე _ ,,Merchandise exports and imports"). ზოგიერთ ქვეყანაში კი (დიდი ბრიტანეთი) ამ მიზნით იყენებენ ტერმინს ,,ხილული ვაჭრობა" (,,visible trade") საექსპორტო-საიმპორტო ოპერაცია- თა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მომსახურებით ვაჭრობა (არამატერიალური პროდუქტებით ვაჭრობა), ანუ მომსახურების ყველა სახე, რომელიც მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, როგორიცაა საფინანსო-საკრედიტო (საბანკო) მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, სააუდიტორო მომსახურება და მრავალი სხვა". [1]

ვაჭრობის ამ ტიპს ზოგიერთ ქვეყანაში

[1] საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი. თ. შენგელიას რედაქციით, „უნივერსალი"თბ. 2011 გვ.14

ეწოდება ,,მომსახურების ექსპორტ-იმპორტი", ხოლო ზოგიერთში — ,,არახილული (უხილავი) ვაჭრობა". საერთაშორისო ბიზნესის ამ ფორმას, კერძოდ ექსპორტს, ძალიან ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილი კომპანიების ფინანსურ წარმატებაში, რადგან მთელი რიგი კომპანიების პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთის დამკვეთებზე (მყიდველებზე) მოდის. მაგალითად, კომპანია ბოინგში თვითმფრინავების კომერციული გაყიდვების 53% უცხოელ დამკვეთებზე მოდის, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ათი ათასობით სამუშაო ადგილი თვით კომპანიაში და უფრო მეტი — სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების მიმწოდებელ ფირმებში. ასევე, საკმაოდ ხშირად საზღვარგარეთული გაყიდვები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მცირე კომპანიებშიც.

ექსპორტს ასევე დიდი მნიშვნელობა გააჩნია მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში — მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში 16 (მშპ-ში) ექსპორტის ხვედრითი წილი 2008 წელს შეადგენდა: ნიდერლანდებში 65,1%, კანადაში 43,3%, ინდონეზიაში 38,5, გერმანიაში 35,0%, საფრანგეთში 28,2%, მექსიკაში 27,6%, დიდ ბრიტანეთში 13,4%, ბრაზილიაში 13,4%, ინდოეთში 11,2%, იაპონიაში 10,4%, აშშ-ში 10,3%. საქართველოს აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წელს უდრიდა 12,8%-ს[2]. უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესის მეორე ფორმას, რომელსაც გააჩნია ისეთივე დიდი მნიშვნელობა, როგორც ექსპორტ-იმპორტს. უცხოური ინვესტიციის განხორციელება ნიშნავს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ მეორე ქვეყნის რეზიდენტისთვის კაპიტალის გადაცემას გამოსაყენებლად.

ერთ-ერთი მიდგომით ასეთი ინვესტიციები ორ ჯგუფად იყოფა: **პირდაპირი უცხოური** და **პორტფელური** ინვესტიციები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციია არის დაბანდებული კაპიტალი, რომელიც გამოიყენება სხვა ქვეყნებში საკუთრების ობიექტების, აქტივების და მთლიანად კომპანიების შესასყიდად და რეალური კონტროლის განსახორციელებლად.

[2] Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г.Медведева, СПБ.: Питер, 2006. стр.51

პორტფელური ინვესტიციია გამოიყენება უცხოური ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები, დეპოზიტური სერტიფიკატები) შესაძენად, რომლის მიზანს არ წარმოადგენს კონტროლის განხორციელება. საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების (საერთაშორისო ბიზნესის) სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია ლიცენზირება, ფრენშაიზინგი და მმართველობითი კონტრაქტები.

ლიცენზირება საერთაშორისო ბიზნესში გვთავაზობს ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებას, რომლის თანახმადაც ერთ ქვეყანაში არსებული კომპანია გასცემს ლიცენზიას სხვა ქვეყნაში არსებულ კომპანიაზე თავისი არამატერიალური აქტივის (პატენტის, სავაჭრო მარკის, საფირმო სახელწოდების, საავტორო უფლების, წარმოების საიდუმლოების) გამოყენებაზე, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ერთგვაროვან ვალუტაში ასახული მონაცემების შედარება შესაძლებლობას იძლევა ეროვნულ მეურნეობაზე საგარეოეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი დადგინდეს. რა საკვირველია პატარა ქვეყნებისათვის, რესურსების სიმცირისა და ბუნებრივი პირობების შეზღუდულობის გამო, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება, ვინაიდან მათ უფრო მეტი საქონელი შეაქვთ საზღვარგარეთიდან, ვიდრე გააქვთ უცხოეთში. მაგ., მოსახლეობის მიხედვით საშუალო რაოდენობის ქვეყნებს, კერძოდ, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იაპონიას, გერმანიასა და იტალიას ეს მაჩვენებლები 10-20%-ის ფარგლებში აქვთ[3].

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საგარეო-ეკონომიკური ფაქტორის როლი თანამედროვე სამეურნეო განვითარებაში ამაღლდა – მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. სპეციალისტთა შეფასებით, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის შეფარდება მშპ-თან მიმართებაში დიდ ქვეყნებში 35-40%-ს მიაღწევს. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე-მეექვსე შეძენილი საქონელი იმპორტული იქნება.

ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს რომ მოცემული მაჩვენებელი მეთოდიკურად არასრულყოფილია, რადგან მასში მხოლოდ საგარეო ვაჭრობაა ასახული და ჩართული არ არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების

[3] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.97

მთლიანი ერთობლიობა. ამ მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების მიერ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რითაც საგარეო ფაქტორის როლი კიდევ უფრო დაზუსტდება, ხოლო ამ მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად გადიდდება. ამ მაჩვენებლების ღირსებაა ის, რომ მას ექსპორტისა და იმპორტის მიხედვითაც ცალკ-ცალკე ანგარიშობენ. ასევე შესაძლებელია, არა მარტო რომელიმე ქვეყნის, არამედ მისი ცალკეული რეგიონის, დარგის და პროდუქციის მიხედვით საკვლევი დონის შეფასება. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა როგორც ტერიტორიულ, ისე დარგობრივ და პროდუქციის სახეობათა ჭრილში აღრიცხული და შედარებული იქნეს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, გამოვლინდეს გამოუყენებელი რეზერვები, დაისახოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები. ანალოგიურად ხდება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის შეფასებაც, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკე-ული რეგიონისა და დარგის მიხედვით.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში საგარეო და საშინაო ფაქტორების ურთიერთ-შერწყმით, ცალკეული დარგის, რეგიონისა და საწარმოს მასშტაბში საგარეო ვაჭრობის როლის შეფასებისათვის ექსპორტული და იმპორტული კვოტები გაიანგარიშება.

$$\text{ექსპორტის კვოტა}_E = \frac{\text{ექსპორტის მოცულობა}}{\text{მთლიან შიდა პროდუქტთან}} \times 100\text{-\%}$$ [4]

მაღალი ექსპორტული კვოტა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტ-უნარიანი სამამულო საქონლის გაჯერებულობას ნიშნავს. მით უმეტეს, თუ იგი ტექნოლოგიურად რთულ პროდუქციას ეხება. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტული კვოტა მანქანათმშენებლობის,, ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, საავტომობილო, საავიაციო-კოსმოსურ და მრეწველობის სხვა დარგებში საშუალოდ 25-40%-ს აღწევს. საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის ხარისხსა და სამამულო ბაზრის გაჯერებულობას ახასიათებს იმპორტული კვოტაც, რომელიც შეიძლება

[4] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.97-98

მთლიანად ეროვნულ ეკონომიკურ დონეზე, ასევე ცალკეული რეგიონის დარგისა და სასაქონლო ჯგუფის მიხედვით დადგინდეს.

$$\text{იმპორტული კვოტა} = \frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{მშპ- ის მოცულობა + იმპორტის მოცულობა}} \times 100\%$$ [5]

საგარეო ვაჭრობის კვოტების ანალოგიურად გაიანგარიშება ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოდინებისა და საზღვარგარეთ ეროვნული ინვესტიციების უკუდენის კვოტებიც. აღნიშნული საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი როლი და მნიშვნელობა ეროვნულ კაპიტალურ დაბანდებებთან.

$$\text{ინვესტიციების კვოტა} = \frac{\text{ინვესტიციების მოცულობა}}{\text{ეროვნული კაპდაბანდების მოცულობა}} \times 100\%$$ [6]

ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ზემოქმედების მახასიათებლად გამოყენებულია იმპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან საქონელბრუნვაში, რომელიც გაიანგარიშება შეფარდებით:

$$\frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{საქონელბრუნვის მოცულობა}} \times 100\%$$

აღნიშნული მაჩვენებლის გათვალისწინებას დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას ასახავს. ამ მაჩვენებლის მაღალი დონე სამამულო წარმოების ჩამორჩენილობას მიგვანიშნებს, რაც პერსპექტივაში შესაძლოა სავალალო გახდეს ამ მხრივ საქართველოში ვითარება

[5] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.97-98
[6] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.100-101

ძალზე არასახარბიელოა, კერძოდ იმპორტის მოცულობა შიდა საცალო საქონელ-ბრუნვასთან მიმართებაში 153%-ია. ანუ იმპორტი ადგილობრივი საქონლით ვაჭრობას 15-ჯერ აღემატება[7]. ყოველივე სამამულო წარმოების მკვეთრ შემცირებაში, ეროვნულ ბაზარზე დაბალხარისხიანი იმპორტული საქონლის მოზიდვაში აისახება.

საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველოც) მეტ - ნაკლებად ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, სადაც ქვეყნის შიგნით საქმიან ოპერაციებთან ერთად საერთაშორისო ოპერაციებიც (ექსპორტი, იმპორტი და სხვა) ხორციელდება. აღნიშნულ ოპერაციებზე ანგარიშსწორება კი ხდება, როგორც ეროვნული ისე, მსოფლიო ვალუტით.

სხვასიტყვებით, ღია ეკონომიკა ეს ისეთი ეკონომიკაა, სადაცარარეზიდენტებს, განსაკუთრებით უცხოურ ფირმებს, გახსნილი აქვთ ეროვნულიმეურნეობის ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენ მიმავალი გზა (დახურულ ეკონომიკაში კი ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენმიმავალი გზა მათთვის ჩაკეტილია). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის არ არსებობს სრულიად გახსნილი, ანუ, ლიბერალიზებული ეკონომიკა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს გამოკლებით. სწორედ ამიტომ უფრო ხშირად მსჯელობენ შედარებით ღია, ან ნაკლებ ღია ეკონომიკაზე. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა უფრო გახსნილია, ვიდრე, ჩინეთისა, თუ ვიმსჯელებთ იმპორტულ საქონლეზე ტარიფებით, იმპორტული საქონლის წილით შიდა ბაზარზე, ან სავალუტო - საანგარიშსწორებო ურთიერთობებითა და სხვა მაჩვენებლებით. ქვეყნის ეკონომიკის ღიაობისა და დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის კარგი ინდიკატორია ექსპორტისა და იმპორტის კვოტა. მათი გაანგარიშება ხდება ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების პროცენტული ფარდობით ქვეყნის მშპ - თან. ამ მაჩვენებლების საფუძველზე კი გაიანგარიშებაეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ინდექსი, ანუ, საგარეო სავაჭრო კვოტა (წილი), რომელიც ტოლია ექსპორტისა და იმპორტის წლიური მოცულობის ჯამისა და მშპ - ისპროცენტული განაყოფისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგარეო

[7] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.100-101

ეკონომიკურ საქმიანობაში პროტექციონიზმი აშკარადსჭარბობს ლიბერალიზმს, სახეზეა დახურული ეკონომიკა. ღიასგან განსხვავებით ჩაკეტილ (ავტარკიულ) ეკონომიკაში მხოლოდ იმ საქონლითა და მომსახურებით სარგებლობა შეიძლება, რომელიც მოცემული ქვეყნის შიგნით იწარმოება, საქმიანი გარიგებები და ოპერაციები ხორციელდება მოცემული ქვეყნის შიგნით, ხოლო მათზე ანგარიშსწორება მხოლოდ ქვეყნის ეროვნული ვალუტით ხდება. სხვაგვარად, ავტარკია ერთი, ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური თვითუზრუნველყოფაა, გამოცალკევებაა სხვა ქვეყნების ეკონომიკებისგან. ასეთ ქვეყანაში, თუ ქვეყნებში არ არსებობს საქონლის, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის ექსპორტ - იმპორტი. შესაბამისად, გამორიცხულია, სავალუტო კურსი, საბაჟოები და სხვა. ხატოვანი ალეგორიული შედარებით - ძლიერი ქარის შემთხვევაში, კარჩაკეტილი (ავტარკიული) ქვეყნები აშენებენ ქარსაცავ ზოლს (ჯებირს), რათა ქარი არ შემოუშვან. ღია ეკონომიკის ქვეყნები კი ამ ქარს გონივრულად იყენებენ ელენერგიის გამომუშავებისა და ქარის წისქვილის ასამოქმედებლად. მსოფლიოში ამგვარი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ძალიან ცოტა დარჩა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, არსებობს ძლიერი კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეოე კონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტთა მიერჩატარებულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაშიხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობისერთ სულზე მშპ - ის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდახუთჯერ მეტად. განასხვავებენ დიდ და მცირე ღია ეკონომიკას. დიდი ღია ეკონომიკა ეს ისეთი ეკონომიკაა, რომელშიც მისი მასშტაბების წყალობით საპროცენტო განაკვეთი შიდა ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი ზემოქმედებით ყალიბდება. სახელმწიფოები, სადაც ჩამოყალიბდა დიდი ღია ეკონომიკა (მაგ. აშშ, იაპონია, გერმანია), მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობაზე და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის დონეზე.

"მცირე ღია ეკონომიკა" კი არის ეკონომიკა, სადაც პროცენტის მსოფლიო განაკვეთი შემოთავაზებულია მსოფლიო ფინანსური ბაზრის პირობებით. მცირე ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფო ვერ ახდენს არსებით გავლენას მსოფლიო ბაზრის პროცესებზე და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის მოძრაობაზე. დიდი ღია ეკონომიკა კი, მისი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში რეალური მონაწილეობით, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე ზეგავლენის ხარისხით, ასევე, არსებული ეროვნული ეკონომიკისა და რესურსული პოტენციალის წყალობით (მაგალითად, მსოფლიო პროდუქციის 21% ამერიკულია, მსოფლიოს ოქროს მარაგის 25% აშშ - ია, სავალუტო ბაზრების ბრუნვის საერთო მოცულობაში აშშ - ის დოლარის წილი 41% - ს შეადგენს)[8] რეალურ ზემოქმედებას ახდენს ყველა ძირითადი ეკონომკური პარამეტრების ფორმირებაზე. ესაა: ინფლაციისა და მსოფლიო ფასების დონე; მნიშვნელოვანი ჯგუფის საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკა; მსოფლიო ფინანსური ბაზრების მდგომარეობა, პროცენტის განაკვეთის მოძრაობის ჩათვლით; საგარეო ეკონომიკური კავშირების მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების და წესების განსაზღვრის პოლიტიკა და სხვა. საქართველოს ეკონომიკა მცირეა დანარჩენსამყაროსთან შედარებით და, ამიტომ, უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს მსოფლიობაზრებზე.

საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებებია: შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს მონაწილეობის გაფართოება; საგარეო ეკონომიკური კავშირების, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული გარდაქმნების ინტენსიური ფაქტორის, როლის გაძლიერება; კაპიტალ - აღჭურვილობის, პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ხარისხის, ანუ, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიხედვით სამამულო წარმოების მსოფლიო დონეზე გასვლა. საქართველოს მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთქმედების მოდელის შეცვლა: ქვეყნის ახალი საგარეო ეკონომიკური სპეციალიზაციის ბაზაზე ტრადიციული საქონელ - გაცვლიდან თანამშრომლობის უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლა - კაპიტალების გადახლართვა,

[8] ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.108

სამეცნიერო - ტექნიკური კოოპერაცია, საწარმოო ინტეგრაცია და სხვა; ქვეყანაში ცალკეული საბაზრო ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მთლიანად კონკურენტული გარემოს ფორმირების დაჩქარება, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია, ან, საერთოდ არ არსებობს. ხაზგასასმელია, რომ დღეს ყველა ქვეყანა გლობალურ გარემოში ცხოვრობს და, ბუნებრივია, რომ მათი ეკონომიკაც მეტნაკლებად გახსნილია. ქვეყნის მონაწილეობის გააქტიურებას მსოფლიომეურნეობაში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ეწოდება. თუმცა, ეკონომიკური კარგახსნილობა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ასე მაგალითად, საქართველოს საგარეოვაჭრობის დეფიციტი დაახლოებით მილიარდ ნახევარი დოლარია (იმპორტი ოთხნახევარჯერ აღემატება ექსპორტს). რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოსორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებულივალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის მიერ ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს. ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები. ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება. როგორც ერთი, ისე, მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ასე მაგალითად, 2008 წლის განმავლობაში 22 მილიონი ლარის ღირებულების კარტოფილი, 19 მილიონის პომიდორი, 17 მილიონის ხახვია იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან. მხოლოდ ამ ოთხმა კულტურამ 70 მილიონი ლარი შედაგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი - 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი (რაც ჩემი გათვლებით მინიმუმ 100,000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია, თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა).[9]

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციების მინიმიზებისათვის, ჩემის აზრით, საჭიროა:

---

[9] პ. ტოლიაშვილი, ერთ-ერთი ტენდენცია რომელსაც საქართველოს ეკონომიკის გამოკეთება შეუძლია. 3 ივლისი, 2009 http://strategy.ge/2009/07/03/trend-for-econom/ (11.06.2019)

- ექსპორტის ზრდა და პარალერულად იმპორტჩამნაცვლებელი სამამულო პროდუქციისწარმოება;
- ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმიზება;
- უფრო აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში. თავის არიდება შიდა ბაზრისზომაზე მეტად დაცვისგან და იმ ფირმების წახალისება, რომლებიც მსოფლიობაზრისთვის კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ.

ასევე, მნიშვნელოვანიაფასი, ხარისხი, ლარის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათა მიწოდების სტაბილურობა და ხარისხი კი შეუძლებელია მიღწეულიქნას სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობის გარეშე, ე.ი. აუცილებელია ამ სფეროებშიინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

1.2. განვითარებადი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკა

საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ახდენს, ეკონომიკური ზრდა კი დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს, თუმცა, ისიც შეესაბამება სიმართლეს, რომ ზოგიერთი სამუშაო ადგილი იკარგება ვაჭრობის გაფართოვებით. აქ ორ პრობლემასთან გვაქვს საქმე: პირველ რიგში, საქმე ეხება სხვა ფაქტორებს, მაგალითად ტექნოლოგიურ პროგრესს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა დასაქმებსა და წარმოებაზე, სარგებელს უზრდის რა ზოგ სამუშაო ადგილს, ზოგს კიაზარალებს. მეორე მხრივ, რამდენადაც ვაჭრობა აშკარად ზრდის ეროვნულ შემოსავალს (და კეთილდღეობას), ეს ყოველთვის არ გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებს მათთვის, ვინც დაკარგა სამუშაო იმპორტთან კონკურენციის შედეგად. ამასთან ზოგ ქვეყანაში მუშების მიერ ახალი სამუშაოს პოვნას საკმაოდ დიდი პერიოდი სჭირდება. ფაქტები იმასაც მოწმობს, თუ რამდენად უწყობს ხელს უმუშევრობის ზრდას პროტექციონისტული პოლიტიკა (ზემოთგანხილული). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლევადიან პერიოდში ვაჭრობის შეზღუდვით პრობლემის დაძლევის მცდელობა გადაიქცა უფრო დიდ პრობლემად გრძელვადიან პერიოდში53. განვითარებად

ქვეყნებში იმპორტის სატარიფო ლიბერალიზაცია დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებადი სახელმწიფოები, მათ შორის, მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნები (ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია), გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე ინარჩუნებდნენ მაღალ საიმპორტო ბარიერებს. მსოფლიო მეურნეობის სისტემაში განსაკუთრებული სტატუსის ქონა სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შესაძლებლობას აძლევდა მათ ესარგებლათ საბაჟო გადასახადებით მრეწველობის ახალი დარგების უცხოური კონკურენციისგან დასაცავად, მოეპოვებინათ პრეფერენციული წვდომა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

ეროვნული წარმოებების ჩამოყალიბებისა და ამ წარმოებების მიერ შიდა ბაზრის ათვისების პერიოდში, აზიისა და ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ახალი სამრეწველო ქვეყანა თავიანთ შიდა ბაზარს იცავდა მაღალი ტარიფით, რაც ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მსოფლიო ბაზრის უფრო მაღალ მოთხოვნებთან ადაპტაციის შესაძლებლობას იძლეოდა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის საშუალო არითმეტიკული ტარიფი ინდოეთში (1990წ.) შეადგენდა დაახლოებით 84,1%-ს, ჩინეთში (1992წ.) – 44,9%-ს, ბრაზილიაში (1991წ.) – 26,3%-ს[10].

90-იანი წლების დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნეოდა საბაჟო ტარიფების შემცირების ტენდენცია, რაზეც ძირითად გავლენას ახდენდა: ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზებისკენ მიმართული სახელისუფლებო გადაწყვეტილებები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე იმპორტის ლიბერალიზება და სხვადასხვა სახელმწიფოსთან პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების მიღწევა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, განვითარებადმა ქვეყნებმა საკუთარი ინიციატივით ცალმხრივად შეამცირეს იმპორტზე ტარიფების დაახლოებით 2/3, დაახლოებით 1/4 - ურუგვაის რაუნდის ფარგლებში წარმოებული მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგებიდან გამომდინარე, ხოლო დანარჩენი 9-10% - რეგიონული

[10] World Bank. World Development Indicators, 2000, pp.330-332

სავაჭრო-ეკონომიკური გაერთიანებების ფარგლებში. სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებში ობიექტურად არსებულმა განსხვავებებმა, განვითარებადი ქვეყნების საიმპორტო საბაჟო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესის უთანაბრობა განაპირობა. ზოგიერთ ქვეყანაში (ბუტანი, ზიმბაბვე, მადაგასკარი, შრი-ლანკა, უგანდა), მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის საშუალო დონე ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა. ბევრი განვითარებადი ქვეყნის საბაჟო ტარიფი არასტაბილურია, ვინაიდან ქვეყნებმა შეინარჩუნეს იმპორტული საბაჟო გადასახადების მნიშვნელოვანი გაზრდის შესაძლებლობა: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლისას მათ საბაჟო გადასახადების განაკვეთების მაღალ დონეზე „მიბმა“ განახორციელეს, მაგრამ, რეალურად, ისინი უფრო დაბალ ტარიფებს იყენებდნენ (ცხრილი N1.1). მეურნეობის

განვითარების დონის დიდი დიფერენციაციის გამო, ქვეყანათა ჯგუფისათვის დამახასიათებელია იმპორტული ტარიფის საშუალო არითმეტიკული სიდიდის ფართო დიაპაზონი. შედარებით დაბალი შემოსავლების დონის მქონე განვითარებადი ქვეყნები შედარებით უფრო ხშირად იყენებენ ინტენსიურ საბაჟო-სატარიფო დაცვას. აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოს (სუდანი, ტუნისი, მაროკო) ფაქტიური საშუალო ტარიფი 20% და უფრო მაღალია. ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი და ა.შ.), აგრეთვე სამრეწველო პოტენციალისა და საექსპორტო შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოებში (ფილიპინები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) იმპორტის საბაჟო გადასახადებით დაბეგვრა თითქმის ისეთივეა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ფაქტიური საშუალო ტარიფი 5-10%-ის ფარგლებში.

ცხრილი 1.1

საშუალო ტარიფის დონე განვითარებად ქვეყნებში 2018 წელს[11]

	ყველა საქონელი	სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	არასასოფლო - სამეურნეო პროდუქცია

[11] “საბაჟო ტარიფების შესახებ" და “საბაჟო მოსაკრებლის შესახებ". საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო-კვლევითი განყოფილება. http://www.parliament.ge/files/438_1352_423211_Document45s.pdf (11.06.2019)

ქვეყნები	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	14,4	4,70	25,6	5,4	12,7	4,6
არგენტინა	31,8	13,6	32,3	10,4	31,70	14,2
ბრაზილია	31,4	13,5	35,4	10,2	30,8	14,1
ეგვიპტე	36,8	16,8	98,3	60,6	27,5	9,5
თურქეთი	28,6	10,7	61,0	42,2	17,0	5,4
ინდოეთი	48,5	13,5	113,5	33,4	34,5	10,2
კორეა	16,5	13,3	56,1	52,7	10,2	6,8
მექსიკა	36,1	7,5	44,5	17,6	34,8	5,9
მოლდოვეთი	7,0	4,6	14,1	10,4	5,9	3,7
რუსეთი	7,6	8,4	11,2	1,6	7,1	7,9
სამხრეთ აფრიკა	19,0	7,6	40,4	8,4	15,7	7,4
საუდის არაბეთი	11,1	5,1	15,7	5,9	10,5	5,0
საქართველო	7,4	1,5	13,0	6,4	6,5	0,7
სინგაპური	9,7	0,2	23,5	1,1	6,5	0,0
სომხეთი	8,5	3,7	14,7	6,8	7,6	3,2
ტაილანდი	27,8	11,6	38,7	31,3	25,5	8,3
ტაჯიკეთი	8,1	7,7	11,4	10,7	7,6	7,2
უკრაინა	5,8	4,5	10,9	9,2	5,0	3,7

მსოფლიოს მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნების უმეტესობის საშუალო არითმეტიკული ტარიფები მერყეობს 10-15 პროცენტიანი დიაპაზონის ფარგლებში (ბრაზილია - 13,6%, ჩინეთი- 9,6%, ინდოეთი - 13,5 %, ტაილანდი - 11,6%). საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შედარებით მაღალი მაჩვენებელი იძლევა ეროვნული მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე პროტექციონისტული ამოცანების გადაჭრის, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსების შესაძლებლობას[12].

ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, პროტექციონისტული „ქოლგის“ ქვეშ იმყოფება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. გამონაკლისს წარმოადგენენ არგენტინა და ბრაზილია, სადაც არა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე საშუალო არითმეტიკული ტარიფი დაფიქსირებულია უფრო მაღალ დონეზე, აგრეთვე ჩილე, სადაც ყველა საქონელზე დაწესებულია ერთგვაროვანი სატარიფო დონე - 6%.

[12] თამთა მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016, გვ. 73

საბაჟო ბარიერები განსაკუთრებით მაღალია აგრარული სექტორის პროდუქციის იმპორტზე ეგვიპტეში, სადაც საშუალო არითმეტიკული ტარიფის მაჩვენებელი აღწევს 60,6%, თურქეთში - 42,2%, სამხრეთ აფრიკაში - 40.4%, ინდოეთში - 33.4%, და მაროკოში - 27,4%.[13]

იმ სასაქონლო ჯგუფებში, რომლებზეც დაწესებული საბაჟო გადასახადების განაკვეთები ბევრად აღემატება მოცემული ქვეყნისთვის დამახასიათებელი საშუალო მაჩვენებელს, ხშირად ფიგურირებს ტანსაცმელი, ტყავეული და ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები, რძის პროდუქტები, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი. ზემოაღნიშნული ჯგუფის საქონელთან ერთად, მარცვლეულის იმპორტზე მაღალი საბაჟო ბარიერებია დაწესებული ჩინეთში (22,6%), ჩაისა და ყავაზე - ინდოეთში (56,3 %), თევზსა და თევზპროდუქტებზე - მაროკოში (46,6%-დან შემცირდა 14%-მდე 2008-დან 2014წ.), ტუნისში (30,2%) და ა.შ. აზიური და არაბული ქვეყნების ნაწილში ძალიან მაღალი საიმპორტო საბაჟო გადასახადები დაწესებულია სპირტიან სასმელებსა და თამბაქოზე (ეგვიპტეში - 803%, მალაიზიაში - 103%, ინდოეთში - 69,1%)[14].

რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფოს ტარიფებს ფისკალური დანიშნულება გააჩნია, ხოლო მათი ეკონომიკა ნაკლებად დივერსიფიცირებულია და ნაკლები მასშტაბით საჭიროებს წერტილოვან, სხვადასხვა ინტენსივობის მქონე სატარიფო დაცვას, ვიდრე განვითარების უფრო მაღალი დონის მქონე ქვეყნებში, მათთან საბაჟო ტარიფის დიფერენციაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია. საბაჟო (იმპორტის და ექსპორტის) გადასახადების წილი უმეტესი განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში (8-20%) გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებული სახელმწიფოების საბიუჯეტო შემოსულობებში.

ეკონომიკური

განვითარების უფრო მაღალ დონეებზე გადასვლასთან ერთად შეინიშნება საბაჟო გადასახადების ფისკალური როლის შემცირების ტენდენცია (საბაჟო გადასახადებით

---

[13] თამთა მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016, გვ. 73

[14] თამთა მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016, გვ. 73

დაბეგვრის დონის ზრდისა და სხვა შემოსავლების ზრდის შედეგად). საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლისა და სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში გადამწვეტ როლს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები წარმოადგენს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებიც არიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის მქონე სომხეთი და აზერბაიჯანი და მზარდი ბაზრების მქონე - რუსეთი, უკრაინა, თურქეთი. აღსანიშნავია, რომ ძირითადი მეზობელი სავაჭრო პარტნიორებიდან სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ახლა უკვე რუსეთიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია, ხოლო აზერბაიჯანი დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს. შესაბამისად, მათი საბაჟო-სატარიფო რეგულირება მნიშვნელოვნადაა ადაპტირებული მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ დანერგილ ნორმებთან. საბაზრო რეფორმების წლებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების უმეტესობაში განხორციელდა საიმპორტო რეჟიმის მასშტაბური ლიბერალიზაცია, რაც გამოვლინდა საბაჟო ტარიფების შემცირებით, გადასახადებით დაუბეგრავი სატარიფო პოზიციების რაოდენობის გაზრდით, სატარიფო პიკების რაოდენობის შემცირებით და საბაჟო გადასახადების არაადვალორული განაკვეთების რაოდენობის შემცირებით[15].

ყველაზე დაბალი საშუალო არითმეტიკული იმპორტული ტარიფი საქართველოს შემდეგ (1,5%) აქვს სომხეთს - 3,7% და უკრაინას - 4,7 %. ყველაზე მაღალი თურქეთს - 10,7 % და აზერბაიჯანს - 9,0 %, ასევე რუსეთს - 8,4%. ექვსივე ქვეყანაში ტარიფები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე უფრო მაღალია, ვიდრე არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავება თურქეთში ორი გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფის საშუალო არითმეტიკულ ტარიფებს შორის (36,80 %).

არასაბაჟო გადასახადების პოზიციების დიდი რაოდენობა დამახასიათებელია სომხეთის (სატარიფო პოზიციების საერთო რაოდენობის 71,4%), აგრეთვე ყირგიზეთისა (47,2%) და მოლდავეთისთვის (46.7%), ხოლო საბაჟო გადასახადებით დაუბეგრავი

[15] თამთა მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016, გვ. 73-74

სატარიფო პოზიციების რაოდენობა მინიმალურია აზერბაიჯანში (1,3%), ტაჯიკეთში (1,0%) და უზბეკეთში (1,3%). იმ საბაჟო გადასახადების განაკვეთების წილი, რომლებიც აღემატებიან 15 პროცენტს (საერთაშორისო სატარიფო პიკებს), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საიმპორტო ტარიფებში, გარდა უზბეკეთისა (33,9%), მერყეობს 0,2%-დან (ყირგიზეთში) 6,4 %-მდე (უკრაინაში).[16]

შედარებით დაბალი საბაჟო გადასახადები დაწესებულია მანქანების, მექანიკური მოწყობილობების, ელექტრომოწყობილობისა და ელექტრონიკის შემოტანაზე - საშუალოდ არაუმეტეს 3% სომხეთში, საქართველოში, 5% - უკრაინასა და თურქეთში. საქართველოს გარდა ქვეყნებს დაწესებული აქვს საბაჟო გადასახადები, რომლებიც საშუალო დონეს აღემატებიან, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის იმპორტზე, აგრეთვე ტექსტილის ნაწარმზე ბოლო პერიოდში, 70-80-იან წლებში დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ხშირად იყენებენ არასატარიფო საშუალებებს ეროვნული წარმოებისა და შიდა ბაზრის დასაცავად, რაც უკავშირდება სავაჭრო რეჟიმების ლიბერალიზებას, აგრეთვე განვითარებული სახელმწიფოების მიერ ამგვარი ზომების გამოყენების სადემონსტრაციო ეფექტს.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ბალანსის მაჩვენებელს. სავაჭრო ბალანსი ეს არის ქვეყნის მიერ იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების თანაფარდობა, ექსპორტირებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტის მოცულობა აღემატება იმპორტის მოცულობას, სავაჭრო ბალანსის სალდო არის დადებითი ანუ მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებისაგან ყიდულობს უფრო მეტ სქონელს, ვიდრე ისინი მისგან. მაშინ, როდესაც იმპორტი აღემატება ექსპორტს, სავაჭრო ბალანსის სალდო არის უარყოფითი ანუ ფულადი ნაკადები მიდის უკუმიმართულებით.

სავაჭრო ბალანსში დეფიციტი არ ნიშნავს, რომ კომპანიები კარგავენ

[16] თამთა მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016, გვ. 76

კონკურენტუნარიანობას. ასე მაგალითად, აშშ-ის კომპანიების ფილიალები საზღვარგარეთ ყოველწლიურად აწარმოებენ 700 მილიარდი დოლარის საქონელს, რომელიც არ გაითვალისწინება აშშ-ის ექსპერტის მაჩვენებლებში. ამდენად, ამ მაჩვენებლების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გაზრდიდა სავაჭრო ბალანსის დადებით სალდოს. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია საზღვარგარეთ განლაგებული იმ ამერიკული კომპანიების საქმიანობით, რომლებიც ყოველთვიურად ამ ქვეყანაში აგზავნიან მაკომპლექტებელ ნაწილებს. ასეთებია: „ATT“ _ ტაივანში, „ჯენერალ ელექტრიკი“ _ სინგაპურში და სხვა. ამდენად, კომპანიების მიერ ამერიკაში გაგზავნილი მაკომპლექტებელი ნაკეთობანი მიეკუთვნება იმპორტის მაჩვენებლებს. იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლების ასეთი არსებობა განსაზღვრავს სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლების დაბალი სიზუსტის ხარისხს.

ისტორიულად საგარეო ვაჭრობა გამოდის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამოსავალ ფორმად, აკავშირებს ეროვნულ ეკონომიკებს მასოფლიო ეკონომიკებთან. საგარე ვაჭობა ახდენს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, რომელიც ღრმავდება და ვითარდება საგარეო ვაჭრობით და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებით. იგი შედგება ორი ნაწილისაგან – შემოსულობები და გადასახადები, ხოლო მათი შეფარდება ქმნის ექსპორტ-იმპორტის სალდოს.

სავაჭშო სალდოში შედის გაყიდული და შესყიდული საქონლის ფასი, ასევე კრედიტით აღებული და უფასოდ მიღებული, სახემწიფოს დახმარების ან საჩუქრის ფორმით. ბალანსის აქტივების ნაწილში გამოსახულია სამამულო წარმოების საქონლისა და მომსახურები ექსპორტი. პასივში გამოისახება – უცხოური წარმოების საქონელი და მომსახურება შიდა მოთხოვნებისათვის ან გადამუშავებისათვის მათი შემდგომი გატანის მიზნით.

განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში იზრდებოდა გადამამუშავებელი მრეწვე-ლობის პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც ინდუსტრიალზაციისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის პროცესის გარკვეულ წარმატებებზე მიუთითებს ამ ქვეყნებში. განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში, გარკვეული როლის თამაშს იწყებენ მანქანა-

მოწყობილობანი, ქიმიკატები, შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქცია. მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტში არსებით როლს თამაშობს მსუბუქი მრეწველობის დარგები, რომელთა წილადაც მოდის განვითარებადი ქვეყნების, მთლიანი ექსპორტის 16%. გადამამუშავებელ მრეწველობაში, როგორც წესი იქმნება ვიწროდ სპეციალიზირებული საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ დეტალებს. პროდუქციის საბოლოო დამუშავება ხდება სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში. ასე მაგალითად, ელექტრონულ მრეწველობაში მომქმედმა ამერიკულმა ტნკ-ბმა, მექსიკაში, ტაივანში, სინგაპურში შექმნეს ცალკეული ნახევარგამტარული მოწყობილობებისა და ინტეგრალური სქემების მწარმოებელი საწარმოები, რომლებიც საკუთარ პროდუქციას ძირითადში აწვდიან აშშ-ს.

თავი II. იმპორტის ძირითადი მაჩვენებლის ანალიზი

2.1. ძალთა თანაფარდობის ცვლილება მსოფლიო ბაზარზე

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა რჩება მსოფლიო ბაზარზე ნედლეულისა და სურსათის მიმწოდებლებად. სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა კი განაპირობა მსოფლიოში მინერალურ და მცენარეულ ნედლეულზე მოთხოვნის ფარდობითი შემცირება. ამავე მიმართულებით მოქმედებს განვითარებული ქვეყნების მცდელობა, შიდა რესურსების უკეთ გამოყენების ხარჯზე, მიაღწიოს სანედლეულო და სასურსათო საქონლით თვითუზრუნველყოფის სულ უფრო მეტ ხარისხს. მსოფლიო ბაზარზე ნედლეულსა და სურსათზე მოთხოვნის ფარდობითი შემცირება, განვითარებადი ქვეყნებისათვის ნიშნავდა, ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობათა შემცირებას.

შემდეგი ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია მათი ექსპორტის სიდიდეზე, იყო სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების წილის ზრდა სანედლეულო (ნავთობის გარდა) და სასურსათო საქონლების მსოფლიო ექსპორტში. განვითარებადი ქვეყნების წილი ამ საქონლების ექსპორტში (ნავთობის გარდა) 40,3%-დან შემცირდა 28,1%-მდე. რაც ძალზედ უარყოფითად აისახა განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის მათ საგარეოეკონომიკურ მდგომარეობაზე. ახალგაზრდა ქვეყნების ექსპორტის მოცულობების ზრდა შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო მათი ახალგაზრდა მრეწველობის ხარჯზე, მაგრამ განვითარებული ქვეყნები, მიუხედავად იმისა რომ, სამრეწველო პროდუქციის იმპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან მათ შიდა ბაზარზე არ აღემატება 1,5-2%, მზა პროდუქციაზე საიმპორტო კონტინგენტების, შედარებით მაღალი საბაჟო მოსაკრებლებისა და სხვა მექანიზმების გამოყენების მეშვეობით, მაქსიმალურად აფერხებენ ამ ქვეყნებიდან ამ პროდუქციის ექსპორტს. შედეგად, განვითარებადი ქვეყნების ექსპორტი 60-70-ან წლებში იზრდებოდა ძალზედ დაბალი ტემპებით. მისი მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა (ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, ნაწილობრივ ნედლეულის სხვა სახეობებზე ფასების ზრდის გავლენით) 1974-1975 წლწბში ე.წ. ენერგეტიკული კრიზისის პირველი ეტაპზე; შემდგომ 1979-1980 წლებში (მეორე ეტაპი), და 2000 წლიდან დღემდე.

1980 წელს განვითარებადი ქვეყნების მთლიანი ექსპორტის 55% მოდიოდა

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკ) წევრ ქვეყნებზე. განვითა-რებადი ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 1948 წლის 30%-დან, 1970 წლისათვის შემცირდა 18%-მდე. 70-80-ან წლწბში იგი გაიზარდა 29%-მდე. მაგრამ, ნავთობზე მოთხოვნის შემცირებამ და შედეგად ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი ვარდნამ განაპირობა ოპეკი-ს ქვეყნების ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. ნავთობზე ფასების სტაბილიზაციის ან მაღალ დონეზე შენარჩუნების ოპეკის პოლიტიკამ, გამოიწვია განვიარებადი ქვეყნების საერთო ჯგუფში ექსპორტის კატასტროფული ვარდნა. მიუხედავად იმისა რომ ნავთობზე ფასები ჯერ-ჯერობით მაღალია და კვლავ იზრდება, მსოფლიო ექსპორტში განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი არ აღემატება 26%. აღსანიშნავი მოვლენაა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. დიდი დრაკონის ქვეყნების ექსპორტის სწრაფი ზრდა. სამხრეთ კორეიის, სინგაპურის, ჰონკონგის ექსპორტი 4,9 მილიარდი დოლარიდან (1970წ), გაიზარდა 320 მილიარდ დოლარამდე. სამხრეთ კორეის, სინგაპურისა და ჰონკონგის წილმა მსოფლიო ექსპორტში 7,5%-ს მიაღწია. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთაკავშირის ქვეყნებს, მათი ექსპორტის ვარდნამ 80-ან, და განსაკუთრებით 90-ან წლებში, განაპირობა მათი როლის მნიშვნელოვანი დაკნინება მსოფლიო ექსპორტში და სამწუხაროდ ეს მაჩვენებელი დღესაც უმნიშვნელოა[17].

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ქვეყანა აფართოვებს თავისი მონაწილეობის მასშტაბებს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საგარეო ვაჭრობის გზით. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებს ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის ცვლილებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში. ეს მონაცემები ცხადყოფს, ასევე თუ რამდენად ლიბერალური და ღიაა ამ ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და რა როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობა თითოეული მათგანის ეკონომიკური განვითარების პროცესში.

განვითარებადი ქვეყნები მიზანმიმართულად და სისტემატურად

[17] ა. ოქროცვარიძე, დ. ოქროცვარიძე მ. ვადაჭკორია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2009 გვ. 20

ერთვებიან მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში, რომელიც როგორც დარგთაშორის, ისე შიგადარგობრივ სპეციალიზაციას ეფუძნება. ამით მიიღწევა წარმოების ინტერნაციონალიზაცია და ტექნოლოგიური პროცესების მიზანშეწონილი განაწილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. „ვაწარმოოთ განვითარებად ქვეყნებში, გავყიდოთ განვითარებულ ქვეყნებში" _ ასეთი იყო ამ ეტაპზე დასავლეთის ლოზუნგი. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზებას, რომლის მიზანიც იყო მსოფლიო მეურნეობაში ჩამორჩენილი ქვეყნების ჩართვა მათი საექსპორტო სექტორის დივერსიფიცირების გზით (სადაც აქცენტი საგარეო კავშირების ორიენტირებულ განვითარებაზე _ ოუტწარდ ლოოკინგ დეველოპმენტ - კეთდებოდა), მრავალი დასავლელი მეცნიერი უჭერდა მხარს მათ შორის: დ.პაუ (1970), ტ.სციტოვსკი (1970), ბ.ბალასა (1970), ი.ლიტლი (1970), მ.სკოტი (1970), ი.ბჰაგვათი (1993) (ინდოეთი), ასევე, არაერთი გერმანელი, იაპონელი და ლათინოამერიკელი ეკონომისტი. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზების სასარგებლოდ ძირითადად შემდეგ ძირითად არგუმენტებს ასახელებდნენ. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზების ზოგადი დებულებები წარმოდგენილია განვითარების დაგეგმვის ამერიკული ცენტრის გამოკვლევაში (დ.პაუ)[18], აგრეთვე, ჰოლანდიელი ეკონომისტის ი.ტინბერგენის ნაშრომში ,,შრომის საერთაშორისო დანაწილების შესახებ"[19], ფრანგი ეკონომისტის გ.ლაშარიერის ,,შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაში"[20] და ბ.ბალასას „ნახევრადსამრეწველო ქვეყნებში ზრდის სტრატეგიაში"[21]. ამ ნაშრომებში მთავარი ადგილი უჭირავს თვით „განვითარების" პრობლემის დაყენებას, რომელიც საგარეო კავშირებზე იქნებოდა ორიენტირებული, და მის უპირატესობას „ჩაკეტილ" ეკონომიკასთან (ავტარკიასთან) შედარებით. დ. პაუს ნაშრომში ჩამოყალიბებული იყო 60-იანი წლების მოსაზრებებისგან ახალი კონცეფციის ერთ-ერთი მეტად არსებითი

[18] 5 Douglas, P.S. (1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. VII. pp51

[19] Tinbergen, J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm

[20] Lachrriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva.

[21] Balassa, B. 1(970), Growth Strategies in Semi-Industial Countries. "The Quarterly Journal of Economics". February. 16

განსხვავება. კერძოდ, კოლონიური ტიპიდან განვითარებულ ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ საუბრისას იგი აღნიშნავდა: „ზრდის გარდამავალი ტიპების სამი შესაძლო ვარიანტიდან ორი - ექსპორტის წახალისება და იმპორტის ჩანაცვლება _ მეტად ახლოსაა კოლონიური ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმთან... ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია სასაქონლო ნაკადების ცნობილი სამკუთხედი. სამრეწველო სექტორი ორიენტირებულია ადგილობრივ ბაზარზე, პირველადი პროდუქტების ექსპორტი კი კვლავაც რჩება მრეწველობის ზრდის მთავარ საბაზრო სტიმულატორად"[22].

პაუ გვათავაზობს განვითარების მესამე ვარიანტს - ექსპორტის სტრუქტურის შეცვლის კურსს, ანუ მისი სიტყვებით - „ექსპორტის ჩანაცვლებას" (export substition) ანუ სრულიად ახალი საექსპორტო სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს, რომ ,,ექსპორტის ჩანაცვლება არის წარსულთან კავშირის გაცილებით უფრო მკვეთრად გაწყვეტა (ე.ი. კოლონიურ ეკონომიკასთან), რადგან ახლად წარმოქმნილი სამრეწველო სექტორის პროდუქციის ექსპორტი გამოდევნის აგრარული პროდუქციის ექსპორტს (ტრადიციული საექსპორტო კულტურებია: ყავა, კაუჩუკი, ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ქოქოსის ზეთი და სხვა) თავისი ისტორიული როლიდან. ამგვარად, ამ ტიპის ზრდას მოჰყვება არა მარტო შიდა ბაზარზე სამრეწველო საქონლის დივერსიფიცირება, არამედ ახალ ბაზრებზე მათი შეღწევაც"[23]. შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი სტრუქტურის შექმნის სქემატური მცდელობა ი.ტინბერგენს (1970) ეკუთვნის. მისი აზრით, მსოფლიო მეურნეობის განვითარებას ძირითადად აფერხებს ქვეყნებში დიდძალი ისეთი საქონლის არსებობა, რომელიც საერთაშორისო გაცვლაში არ მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, ტინბერგენს მიაჩნდა, რომ დადგა ეკონომიკის დარგების კოლექტიურად „გადანაწილების", არსებულ და პოტენციურ ფაქტორებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის დრო. ეს განხორციელდება ერთი მხრივ, წარმოების შეცვლით ან სულაც ლიკვიდაციით, მეორე მხრივ კი-პირიქით, გაფართოების ან ახალი დარგების

[22] Douglas, P.S.(1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. .p. 9 10

[23] Douglas, P. S. (1970). Development Strategies in Open Dualistic Economics. National Planning Association. Washington. P. 10. 17

შექმნის გზით. ამგვარად, ცენტრალური აფრიკის ყველაზე უფრო ღარიბ ქვეყნებში, ასევე, ჩინეთსა და პაკისტანში, მისი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საფეიქრო მრეწველობის განთავსება, ინდოეთში _ ფოლადის და უბრალო ლითონნაკეთობათა წარმოება და ექსპორტი, ეგვიპტეში, მექსიკაში, ბრაზილიასა და კარიბის ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში _ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის. განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული საქონლის დიდი ნაწილის დამზადებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქვეყნები ყურადღებას გაამახვილებდნენ უფრო რთული (მეცნიერებატევადი) საქონლის დამზადებაზე. ამით განვითარებად ქვეყნებში წარმოებული პროდუქციისთვის ფართო ბაზრები გაიხსნებოდა. როგორ უნდა მოხდეს ამგვარი „გადაკეთების" პრაქტიკულად განხორციელება? ტინბერგენი პასუხობს: „შრომის საუკეთესო საერთაშორისო დანაწილების ძიებაში განსაკუთრებული როლი საერთაშორისო კომპანიებმა უნდა ითამაშონ. ეს მოხდება მაშინ, თუკი მათ ფილიალები ექნებათ განვითარებად ქვეყნებში"[24]. თუმცა, ამავე დროს, იგი აღიარებს, რომ ამას შეუძლია სერიოზულად შელახოს ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი. ასევე, იგი ვერ ხედავს ალტერნატიულ გზებს (გარდა გაეროს მსგავსი ზეეროვნული ორგანიზაციების შექმნისა), რომლებიც მომავალში საერთაშორისო კომპანიებს კონტროლს გაუწევენ[25]. ბ. ბალასამ (970) თავის ნაშრომში აქცენტი გააკეთა „საგარეო კავშირებზე ორიენტირებული" კურსის გატარების საჭიროებაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმცა ეს სტრატეგია მათ მრეწველობის მრავალი დარგის შექმნის შესაძლებლობას უქმნის, მაგრამ „ ...ეს დარგები, როგორც წესი, იყენებენ მოძველებულ ტექნოლოგიას, ამზადებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას და ვერ აღწევენ დარგთაშორისი სპეციალიზაციის იმ დონეს, რომელიც თანამედროვე პირობებში აუცილებელია"[26]. ბალასა გამოსავალს ხედავდა დანიისა და ნორვეგიის მსგავსი მცირე ქვეყნების სასწრაფოდ ჩართვაში შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში და აშკარად ყურადღების მიღმა ტოვებდა ევროპისა და აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურასა და მატერიალურ

[24] Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7. 12. 13
[25] Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P.8
[26] Balassa, B. (1970). Growth Strategies in Semi-Industrial Countries. "the Quarterly Journal of Economics." February. P. 45 18

შესაძლებლობებში არსებულ განსხვავებას. შრომის ახალი საეთაშორისო დანაწილების აუცილებლობას გი დე ლაშარიერიც(1969) უსვამდა ხაზს. ეს სიახლე შეეხებოდა განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ბაზრების გახსნას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალი სამრეწველო პროდუქციისათვის. „საგარეო ბაზრებზე ორიენტირებული განვითარების" იდეას მხარი შვედმა მეცნიერ-ეკონომისტმა გ.მიურდალმაც (1970) დაუჭირა. წიგნში „მსოფლიო სიღარიბის გამოწვევა. სიღარიბესთან ბრძოლის მსოფლიო პროგრამის მონახაზი" (1970), მან აღწერა კოლონიური სახის მქონე შრომის დანაწილების შენარჩუნების დროს „სოციალური აფეთქების" საფრთხე: „დაბალ განვითარებულ ქვეყნებში ურევოლუციოდ რეფორმების გატარების შესაძლებლობა დიდწილადაა დამოკიდებული ამ ქვეყნებში განვითარებული ქვეყნების პოლიტიკაზე"[27]. მიურდალი დაჟინებით მოითხოვდა, რომ განვითარებულ ქვეყნებს „უნდა ეპოვათ განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის ფაქტობრივად წახალისების საშუალებები"[28]. დასავლელი ეკონომისტების იმ ნაშრომებს შორის, რომლებიც შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ახალგაზრდა ქვეყნების როლსა და ადგილს ეხება, თვალსაჩინო ადგილი 1965 წელს ეთგო-ს განვითარების ცენტრის ეგიდით ჩატარებულ გამოკვლევას ეკავა. მისი შედეგები შეჯამებულია ი.ლიტლის, ტ.სციტოვსკისა და მ.სკოტის წიგნში „მრეწველობა და ვაჭრობა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (1970)"[29]. წიგნში აღწერილია არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, პაკისტანის, ინდოეთისა და ფილიპინების ეკონომიკური განვითარების პრობლემები. თვითონ ამ ქვეყნების შერჩევა, რომლებმაც სამრეწველო განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწიეს და გზაგასაყარზე იმყოფებოდნენ, არ იყო შემთხვევითი, რადგან, ავტორთა აზრით, ბევრი მათგანი უკვე შეეჯახა ანალოგიურ პრობლემებს ან სამომავლოდ ამის წინაშე დადგებოდნენ. ავტორებმა თავიდანვე მწვავედ გააკრიტიკეს საშინაო ბაზარზე ორიენტირებული განვითარების ხანგრძლივმოქმედი სტრატეგია და ასე დაახასიათეს მისი შედეგები:

[27] Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y.,. P.45

[28] 15 Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y., P.295 16

[29] Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p.9 19

„იმპორტჩანაცვლების პერიოდში, მართალია, მრეწველობას შეუძლია იმაზე გაცილებით უფრო სწრაფად ზრდა, ვიდრე სამრეწველო საქონელზე მოთხოვნას და ამით ზრდის „წამყვან სექტორად" გადაქცევა, მაგრამ ეს პროცესი დროის მხოლოდ შეზღუდულ მონაკვეთში უნდა გაგრძელდეს - ასე, 15 წელიწადს. ამის შემდეგ ქვეყანა ამოწურავს იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობებს. ეს მოვლენა უკვე აღინიშნა ლათინურ ამერიკაში. შემდგომში მხოლოდ ექსპორტი მისცემს მრეწველობას მის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნასთან შედარებით უფრო სწრაფად ზრდის შესაძლებ-ლობას. მაგრამ ამ დროისთვის ქვეყანას ექნება ისეთი სამრეწველო სტრუქტურა, რომელიც საექსპორტო საქონლის ბაზრებისთვის იქნება შეუსაბამო. უფრო მეტიც, სამომხმარებლო საქონლის საკუთარი ბაზარი შედარებით შეზღუდული აღმოჩნდება მაღალი ფასებისა და იმ არათანაბარი პირობების გამო (იგულისხმება ეკონომიკის დუალისტური ხასიათი), რომლებსაც მხოლოდ იმპორტის ჩანაცვლებაზე ყურადღების მეტისმეტად გამახვილება განაპირობებს"[30]. ავტორებმა აღნიშნეს, რომ ნედლეულის ექსპორტის ინტენსიფიკაცია ხელს არ უწყობს სწრაფ განვითარებას და გამოსავლად სამრეწველო ექსპორტის დივერსიფიკაციის კურსი შემოგვთავაზეს. ჰექშერ-ოლინის თეორიიდან გამომდინარე, ავტორები საექსპორტო დარგებს შორის ძირითადად შრომატევად დარგებს ასახელებენ, რომლებიც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებას მოითხოვდნენ. ავტორები აღიარებენ, რომ წარსულის გამოცდილება აიძულებს ახალგაზრდა დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოებს, ძალიან ფრთხილად მოეკიდონ „ღია ეკონომიკაში" ჩართვას: „1930-იანი წლების კრიზისი და მეორე მსოფლიო ომი კარგად გვიხსნის, თუ რატომ დაადგნენ განვითარებადი ქვეყნები ომის შემდეგ ინდუსტრიალიზაციის გზას, რომელიც საგარეო ვაჭრობაზე ნაკლებად დამოკიდებულებისკენაა მიმართული"[31]. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის კონცეფციის მომხრეთა შეხედულებები ასევე მკაფიოდაა წარმოდგენილი დასავლელი ეკონომისტის, ჰ.ჯონსონის რედაქტორობით

[30] Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p. 11

[31] Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p. 391 20

გამოცემულ ნაშრომში ,,სავაჭრო სტრატეგია მდიდარი და ღარიბი ერებისათვის"(1969). ავტორი აღიარებს, რომ სპეციალიზაციის გაღრმავებისა და ქვეყნების ორ ჯგუფს შორის ვაჭრობის სწრაფად ზრდის კვალობაზე განვითარებადი ქვეყნების (როგორც ნედლეულის წყაროს, ისე გასაღების ბაზრების) როლის დაქვეითება და მათი ხანგრძლივად უცვლელი ჩამორჩენა ცუდად შემოუბრუნდა თვითონ განვითარებულ ქვეყნებს. ისინი იძულებული არიან მჭიდროდ და თანასწორობის საფუძველზე ითანამშრომლონ განვითარების დონეებს შორის არსებული ნაპრალის ამოვსებაში. ეს უნდა განხორციელდეს თუნდაც იმისთვის, რომ მათ საკუთარი საქონლისთვის გასაღების ბაზრების გაფართოებას მიაღწიონ. ვაჭრობასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებას წიგნის ავტორებმა ობიექტური მოვლენა უწოდეს: ,,სწორედ დიდი და მზარდი საექსპორტო ბაზრების არსებულ და უზრუნველყოფილ ხელმისაწვდომობაზე განვითარების პროცესის მკვეთრად მზარდი დამოკიდებულების პერსპექტივა აქცევს 1970-იან წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციას მთელი მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი პროგრესის გადამწყვეტ ფაქტორად", _ ამტკიცებდნენ ავტორები[32]. შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალ სისტემაში განვითარებადი ქვეყნების ჩართვის ზოგადი სქემა გულისხმობდა: უპირველეს ყოვლისა, მათთვის ისეთი მარტივი ნაკეთობების წარმოების გადაცემას, რომლებიც კვალიფიციურ შრომას არ მოითხოვს, აგრეთვე, იმ დარგების დათმობას, რომლებშიც ეს ქვეყნები კონკურენტუნარიანი არიან ბუნებრივ უპირატესობათა გამო. გფრ-ის ბუნდესტაგის განვითარების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ლ.კიპმა 1969 წელს განაცხადა, რომ განვითარების ამგვარი სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ,,განვითარებული ქვეყნების მიერ მსოფლიოს ეკონომიკური შენობის ქვედა სართულების გათავისუფ-ლებისაკენ, ე. ი. ამ ქვეყნებმა იმ საქონლის წარმოებაზე უნდა თქვან უარი, რომლის წარმოება და ექსპორტი განვითარებად ქვეყნებს უკეთესად და უფრო იაფად შეუძლია"[33]. იგი უკვე 1971 წელს წერდა: ,,XX საუკუნის კონცეფცია, რომლის თანახმადაც აგრარული და სანედლეულო სექტორები დიდი სამრეწველო ზონის გარშემო უნდა დაჯგუფდეს,

[32] Trade Strategy for Rich and Poor Nations". (1971). Ed. By Johnson H.G.. London..p.22
[33] "Die Zeit". (1969). No. 15

აღარ შეესაბამება დღევანდელი დღის რეალობასა და მოთხოვნებს”[34]. მეორე, შედარებით უფრო იაფი და ჭარბი სამუშაო ძალის გამოყენებას იმ ნაკეთობათა დასამზადებლად, რომლებსაც „ბუნებრივი” უპირატესობები არა აქვს. იაპონიის საქმიანი წრეების ორგანო „ორიენტალ ეკონომისტი” მიუთითებდა, რომ განვითარებად ქვეყნებში იაპონიის კაპიტალის გადადინების ერთ-ერთი მიზეზია “საკუთარი სამუშაო ძალის მზარდი დეფიციტი”. ახალი მუშების საშუალო წლიურმა შემომატებამ, ჟურნალის მონაცემების მიხედვით, 1965-1968 წლებში მთელი სამუშაო ძალის 1,9% შეადგინა და 1968-1975 წლებში 1,1%-მდე შემცირდა. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ ,,ასეთ პირობებში იაპონია იძულებულია მრეწველობის უფრო შრომატევადი დარგები იმ ქვეყნებს დაუთმოს, რომლებსაც საკმარისი სამუშაო ძალა ჰყავთ... წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეინარჩუნებს მომავალში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს”.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ არსებობს კონსესუსი განვითარებადი ქვეყნების შემდგომი განვითარებისა და მათი ეკონომიკური ზრდის უნიკალური მიდგომისა და მიმართულებების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისის მხრივაც, რადგან სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაფართოება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. აღნიშნული საკითხის დამუშავების მიმართულებით უნდა მოხდეს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების განხილვა რაც შეამცირებს ფინანსურ, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების შედეგად წარმოქმნილ დანაკარგებს. ბოლო პერიოდში მკვლევარებმა დიდ ყურადღებას უთმობდნენ "სამხრეთ-სამხრეთის" ფორმატში სავაჭრო ზრდის ფენომენის შესწავლას. ბევრი განვითარებადი ქვეყნები უკვე გააჩნიათ მნიშვნელოვან ტექნიკურ და ინსტიტუციურ შესაძლებლობები მათი განვითარების და პრობლემების მოსაგვარებლად. ცოტა ხნის წინ განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობის მიმართ ორიენტირებული ტენდენცია და სამხრეთ-სამხრეთის

[34] ”Intereconomics“. (1971). July P. 202 21

ხაზის გასწვრივ სავაჭრო ზრდის ტენდენცია იზრდებოდა[35]. სამხრეთ-სამხრეთ ვაჭრობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი წარმოებული კომპონენტების და ნაწილების ვაჭრობა, განისაზღვრება მოთხოვნა ჩრდილოეთის ქვეყნებში. ეს კი სამხრეთი ეკონომიკის სამხრეთ ნაწილში ჩრდილოეთის მიმართ შოკისმომგვრელ ეკონომიკას ქმნის. მაგალითად, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან იაპონიაში, ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებში ექსპორტი შემცირდა დაახლოებით 20% -ით 2008 და 2009 წლებში. ამ ქვეყნებში ჩინეთის ექსპორტის წილი შემცირდა ასევე ორმაგ ციფრებში. ჩრდილოეთიც ასევე უფრო მეტად ეყრდნობა სამხრეთს, როგორც ლოკომოტივს თავის აღდგენად. 2007 წლიდან ჩინეთში, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ქვეყნებში აშშ-ს ექსპორტი 2.5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე აშშ-ს ექსპორტი ტრადიციულ ბაზრებზე ჩრდილოეთით[36].

სამხრეთ-სამხრეთი ვაჭრობა განვითარებად ქვეყნებს წარმოების იაფ ნედლეულს, მას რაც უფრო მეტად სჭირდება მათ მოთხოვნებს, ვიდრე მდიდარი ქვეყნებიდან წარმოებული საქონელი და, შესაბამისად, უფრო შეძლევთ უნარი დამოუკიდებელი წარმოებისათვის. მაგალითად, 2010 წელს ინდოეთში ინდოეთის საწარმოო საქონელი, კერძოდ, ელექტრო მოწყობილობები, ბირთვული რეაქტორები და ორთქლის ქვაბები, ძირითადად ჩინეთიდან გაიგზავნა, და მათ ჰქონდათ ინდოეთის იმპორტის ღირებულების 60%. სავარაუდოა, რომ გადახდილი სახსრები ამ საქონელზე ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე გადაიხდიდნენ განვითარებულ ქვეყნებთან.

განვითარებადი ქვეყნებში მზა საქონელზე ვაჭრობის ხელშეწყობის ძირითადი როლი კაპიტალის ექსპორტით არის განპირობებული. მაგალითად, ჩინეთში მეოთხე უმსხვილესი ტურბინის მწარმოებელი კომპანია Mingyang- მა ინდური კომპანიის Gლობალ ჭინდ Pოწერ- ის აქციების 55% შეისყიდა, რათა ექსპლუატაციაში გაეტარებინა ქარის და მზის ენერგიის წარმოება ინდოეთში სიმძლავრის 2.5 გბ -ია[37]. 2011 წელს

[35] Bank for International Settlements, 2012. P. 24–26.

[36] Доклад о человеческом развитии. 2013. Опубликовано для программы развития ООН. Нью-Йорк, 2013. С. 46; ОДЧР; The Economist 2012b.

[37] Доклад о человеческом развитии 2013. Нью-Йорк, 2013. С. 52–54.

ჩინურმა კომპანიამ Lifan Industry (Group Co.) ხელი მოაწერა ბრაზილიის კომპანია Effa Group- თან, რომელიც აშენდა ბრაზილიაში პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გარეთ, ამ ქვეყანაში ქარხნის მშენებლობის პერსპექტივით, კომპაქტური მანქანების წარმოებისათვის ჰიბრიდული ძრავა. ჩინურმა კომპანია "ფოტონმა მოტორმა" წელს 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია განაახლა ქარხნის მშენებლობა წელიწადში 30 ათასი მძიმე სატვირთო ავტომანქანისთვის. ჩინური კომპანიები "ბრილიანსი ავტო", "ჰაიმას" და "Auto BYD" ასევე ცდილობენ დაამყარონ ბრაზილიის საავტომობილო ბაზარზე დასაწყებად მინი-მანქანები, ფურგონები, ელექტრო მანქანები, ჰიბრიდული ფუფუნების მანქანები. „სამხრეთ-სამხრეთის“ მიმართულებით ყველაზე განვითარებადი ქვეყნების წარმატებები, პირველ რიგში, დაკავშირებულია აქტიურ პოლიტიკასთან, რომელიც მიზნად ისახავს მათი პროდუქციის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მათ შორის, R & D და ეკონომიკური მოდერნიზაციის განვითარებას.

ცხრილი N2.1. განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის საიმპორტო სასაქონლო სტრუქტურა, %

დასახელება	**2005**	**2014**	**2017**
სურსათი	10,0	6,0	6,9
სასოფლო	3,3	1,5	1,7
ნედლეული	5,1	5,9	8,3
მადნები და მინერალები	13,9	19,4	23,7
საწვავი	66,9	66,4	58,2
დასრულებული პროდუქცია	100,0	100,0	100,0

წყარო: UNCTAD. Handbook of Statistics 2018. UNITED NATIONS. N. Y.; Geneva, 2017. P. 86–89.

ინდუსტრიალიზაციის პროცესში შექმნილმა მრავალდარგობრივმა სამეურნეო კომპლექსებმა კი არ შეასუსტეს, არამედ პირიქით, გააძლიერეს განვითარებადი ეკონომიკების დამოკიდებულება მსოფლიო ბაზარზე. წარმოების ახალი სახეების ჩამოყალიბებამ, ისევე როგორც მათმა მოდერნიზაციამ, აამაღლა ინდუსტრიალიზა-ციაში ჩართული ქვეყნების თვითუზრუნველყოფა ერთი სამრეწველო საქონლით, ამავდროულად მოახდინა რა მრავალი სხვა რამის იმპორტის მოთხოვნის ინდუცირება. სამომხმარებლო ნაწარმის წარმოების დივერსიფიკაციასთან ერთად გაიზარდა მათ დასამზადებლად აუცილებელი საწარმოო საშუალებებზე იმპორტის მოთხოვნა.

მოთხოვნადი საწარმოო საშუალებების გამოშვების ორგანიზებას თან ახლდა საწარმოო დანიშნულების დეფიციტურ ან არარსებულ საქონელზე იმპორტის მოთხოვნის გაზრდა.

ინდუსტრიალიზაციის ამ პროცესის გავლენის ქვეშ მომხდარმა ძვრებმა წარმოებისა და მოთხოვნის სტრუქტურაში ხელი შეუწყო არსებით ცვლილებებს იმპორ-ტის სტრუქტურასა და განვითარებადი ქვეყნების როლში მსოფლიო შესყიდვებში. იმპორტი მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია ნედლეულის საშუალებებზე ნაციონალური მეურნეობების მხრიდან წარმოების, საწვავისა და მინერალური ნედლეულის საშუალებებზე მოთხოვნების უზრუნველყოფაზე. გავაანალიზოთ განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ზოგადი მოცულობა ცხრილი N2.2 საფუძველზე.

ცხრილი N2.2 განვითარებადი ქვეყნების იმპორტის მოცულობა[38]

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
საქონელბრუნვა (მლრდ. დოლ.)	**5192**	**6375**	**7714**	**8743**	**9770**
იმპორტი (მლრდ.დოლ.)	**2432**	**2918**	**3513**	**4081**	**4594**
იმპორტის წილი საქონელბრუნვაში (%)	**46,8**	**45,7**	**45,5**	**46,6**	**47,3**

* - პროგნოზი;

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook, April 2017(11.06.2019)

საიმპორტო შესყიდვები, ისევე როგორც საექსპორტო მიწოდებები, ხასიათდება დადებითი დინამიკით. როგორც ჩანს ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან, იმპორტის მოცულობა იზრდება ყოველწლიურად. იმპორტის წილმა ქვეყნის 2014-2016 წლების საქონელბრუნვაში დაიწყო შემცირება, მაგრამ შემდეგ კვლავ აკრიფა მაღალი ტემპები და 2017 წელს შეადგინა 46.6%, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნო-ზებით მან ზრდა გააგრძელა 2018 წელსაც. ეს არ შეიძლება კარგ შტრიხად ჩაითვალოს. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ექსპორტის წინმსწრები მაჩვენებლების შედეგად არსებობს დადებითი სალდო. თუმცა, ამის მიუხედავად, ქვეყნის საქონელბრუნვაში იმპორტის წილის ამაღლების ასეთი ტემპების დროს მომავალში მოსალოდნელია იმპორტის აღმატება განვითარებადი ქვეყნების ექსორტზე, რაც მოწმობს მსოფლიო ბაზარზე მათ ძლიერ დამოკიდებულებას.

[38] https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2017/01/weodata/index.aspx

ახლა განვიხილოთ განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ზრდის ტემპები და შევადაროთ ისინი განვითარებული სამყაროს ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ცხრილი N2.3 იმპორტის საშუალო წლიური დინამიკა (%)[39]

რეგიონები	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**20018***
მთელი განვითარებადი სამყარო, მათ შორის:	**17,6**	**12,4**	**13,3**	**13,5**	**12,9**
ახლო და შუა აღმოსავლეთი	17,6	17,3	16,2	15,3	11,8
ლათინური ამერიკა	14,6	11,5	12,6	10,1	8,6
შორეული აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზია	17,7	9,3	13,5	12,3	10,3
აფრიკა	9,7	11,8	11,1	13	9,8
ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები	**9,4**	**6,2**	**7,8**	**4,9**	**5.8**

* - პროგნოზი;

წყარო : International Monetary Fund. World Economic Outlook, April 2017(11.06.2019)

როგორც ჩანს ცხრ.N2.3-დან, განვითარებადი ქვეყნების იმპორტის მოცულობის ზრდის ტემპები არ შეიძლება სტაბილურად ჩაითვალოს. 2014 და 2015 წლებს შორის მოხდა იმპორტის მოცულობის მკვეთრი დაცემა - 5,2%-ით. 2015-დან 2017 წ-მდე თანდათან გაიზარდა ნამატის ტემპები, მაგრამ 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით კვლავ მოხდება მათი მცირედით შემცირება.

თუ განვიხილავთ იმპორტს რეგიონული კუთხით, შეიძლება დავინახოთ, რომ მატების ყველაზე მეტ ტემპებს უჩვენებენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. მათ მოსდევს შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნები. უფრო ნელ ტემპებს აჩვენებს აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები აჩვენებენ ზრდის ტემპებს განვითარებადი სამყაროს ანალოგიური მაჩვენებებლების გაცილებით ქვემოთ. ცხრ.N2.3-დან ჩანს, რომ ყოველწლიურად ისინი ახერხებენ მათ შემცირებას საშუალოდ 1,5%-ით. ეს მოწმობს სხვადასხვა საქონლით თვითუზრუნველყოფის მაღალ ხარისხს.

განვითარებადი ქვეყნების იმპორტის უფრო ღრმა დახასიათებისთვის განვიხილოთ მისი სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურა.

[39] https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/04/04/world-economic-outlook-april-2017

2.2. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა

განვითარებადი ქვეყნების იმპორტის სასაქონლო სტრუქტურას საქონლის საკმაოდ დიდი ნომენკლატურა გააჩნია. განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე სამრეწველო გადატრიალება დროში ემთხვევა სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას. ეს აიძულებს განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს მოახდინონ სხვადასხვა საქონლის იმპორტის დივერსიფიკაცია.

განვითარებადი ქვეყნების იმპორტი მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული წარმოების საშუალებებზე, საწავავსა და მინერალურ ნედელეულზე ნაციონალური მეურნეობების მოთხოვნების უზრუნველყოფაზე. ყურადღებას იქცევს განვითარებადი ქვეყნების საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი სურსათის შესყიდვებში. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპების დროს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა, რთულინტენსიური წარმოების განვითარება ხელს უწყობს იმას, რომ განვითარებადი ქვეყნები რჩებიან ნედლეული და სასურსათო საქონლის მსხვილ იმპორტიორებად. ამასთან სასურსათო საქონლის წილი განვითარებადი ქვეყნების იმპორტში მცირდება, თუმცა ძალიან ნელი ტემპებით - 0,7% წელიწადში. ჩვეულებრივ, განვითარებადი ქვეყნები ახორციელებენ ისეთი სასურსათო პროდუქციის იმპორტს, როგორიცაა ჩაი, ყავა, ბანანი.

ცხრილი N 2.4 იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა[40]

	2013		2014		2015		2016		2017	
	მილ. დოლარი	**%**	**მილ. დოლარი**	**%**	**მილ. დოლარი**	**%**	**მილ. დოლარი**	**%**	**მილ. დოლარი.**	**%**
სულ	**2432**	**100**	**2918**	**100**	**3513**	**100**	**4081**	**100**	**4594**	**100**
სასურსათო და ნედლეული საქონელი, საწვავი	**759.8**	**31,2**	**893.5**	**30,6**	**1004.2**	**28,5**	**1137.7**	**27,8**	**1291.2**	**28,1**
სურსათი	**358,8**	**14,7**	**386,7**	**13,2**	**409,8**	**11,6**	**437,7**	**10,7**	**519,7**	**11,3**
სამრეწველო ნედეული	114,6	4,7	137,4	4,7	191,4	5,4	271,5	6,6	294,6	6,4

[40] წყარო : World Trade Organization. International Trade Statistics 2017. (11.06.2019)

საწვავი	286,7	11,7	369,4	12,6	403	11,4	428,5	10,4	476,9	10,3
მზა ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები	**1704,2**	**70**	**1979,3**	**67,8**	**2418,9**	**68,8**	**2851,6**	**69,8**	**3236,5**	**70,4**
ქიმიური პროდუქტები	335.7	13,8	377.1	12,9	411.4	11,7	452.8	11	500.4	10,8
მანქანები, მოწყობილობა	987.6	40,6	1122.5	38,4	1429.1	40,6	1705.8	41,7	1909	41,5
ლითონები	86,5	3,5	90,6	3,1	95,9	2,7	102,6	2,5	103,7	2,2
ტექსტილი, ტანსაცმელი	277,3	11,4	368,2	12,6	458,8	13	560,4	13,7	693,2	15
სხვა მზა ნაწარმი	17,7	0,7	20,9	0,7	23,7	0,6	30	0,7	30,2	0,6
სხვა საქონელი	**32**	**1,3**	**45,2**	**1,6**	**89,9**	**2,5**	**91,7**	**2,2**	**66,3**	**1,1**

მართალია მრავალი განვითარებადი ქვეყანა წარმოადგენს ძირითადად საწვავი პროდუქციის ექსპორტიორს, მრავალი მათგანი განიცდის ამ ნედლეულის მკვეთრ ნაკლებობას და იძულებულია განახორციელოს მისი იმპორტი. განვითარებადი ქვეყნების იმპორტში საწვავი პროდუქციის წილი საკმაოდ მაღალია და მან 2017 წელს შეადგინა 10,3%. ეს წილი 2014 წლიდან თანდათან იწყებს კლებას, საშუალოდ 0,5%-ით წელიწადში.

განვითარებადი სამყაროს იმპორტში სამრეწველო ნედლეულის წილი 2013 წლიდან თანდათან მატებას იწყებს. 2017 წელს კი მან შეადგინა 6,4% ანუ 294,6 მლრდ.დოლ. როგორც ადრე ითქვა, განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე სამრეწველო გადატრიალება დროში ემთხვევა სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუვიას. საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური ჩამორჩენის ძალით ეს აუცილებლად გამოიწვევს მათი მხრიდან დასავლეთის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ფართო გამოყენების აუცილებლობას. განვითარებად ქვეყნებში ტექნოლოგიის გადატანის სასურველი გაფართოების მიუხედავად, მრავალ შემთხვევაში მისი მოძრაობა პრაქტიკულად ნაკლებად შეიცვალა. 2013 წლიდან 2017 წლამდე ტენქიკური მოწყობილობის წილი განვითარებადი ქვეყნების იმპორტში დომინირებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა და 2017 წელს მან შეადგინა 41,5% ანუ 1909

მლრდ. დოლ. აბსოლუტურ სიდიდეში. ახალი ტექნოლოგიის ნაკადი ორიენტირებულია დიდ ინდუსტრიალიზებად ქვეყნებზე - არგენტინაზე, ბრაზილიაზე, ჩინეთზე, ინდონეზიასა და მექსიკაზე, მალაიზიაზე, ტაილანდზე. ტექნოლოგიების მიწოდება ფორმდება, როგორც შვილობილი კომპანიების, ასევე სახელმწიფო გაერთიანებების სალიცენზიო გარიგებების მეშვეობით.

განვითარებად ქვეყნებს შორის ახალი ტექნოლოგიის მიღების ფორმების მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ჯგუფი. აზიის ქვეყნებისთვის ძირითად როლს თამაშობს მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტი, ლათინოამერიკული ქვეყნებისთვის უფრო მაღალია უცხოური პირდაპირი კააპიტალდაბანდებების მნიშვნელობა. მრავალი აფრიკული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნისთვის ტექნიკური თანამშრომლობა საჩუქრის ფორმით გამოდის ტექნოლოგიის მიწოდების ძირითად წყაროდ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა განვითარებამ და მრავალ განვითარებად ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიის ნაკადის შემცირებამ გააფართოვა ტექნოლოგიური განხეთქილება ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. უცხოური ინვესტიციები, რომლებიც წარმოადგენენ ტექნიკური სიახლეების გადაცემის ძირითად ინსტრუმენტს, კონცენტრირებულია ეკონომიკური კუთხით უფრო განვითარებულ ქვეყნებზე, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უპირატესობას ანიჭებენ გამოიყენონ მონაწილეობის არასააქციო ფორმები. ტექნოლოგიირ იმპორტი, რომელიც ახდენს ეკონომიკური ზრდის სტიმულს, მოითხოვს არა მხოლოდ აუცილებელ ფინანსურ საშუალებებს, არამედ მომზადებულ მუშა ძალასაც და იმპორტული ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობასაც. ამ მხრივ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის შესაძლებლობები შეზღუდულია. ტექსტილისა და ტანსაცმლის იმპორტის წილი 2013 წლიდან დღემდე 15%-მდე გაიზარდა და მან შეადგინა 693,2 მლრდ. დოლ. აბსოლუტური გამოხატულებით. ასევე დიდი ქიმიური პროდუქციის იმპორტის წილი. 2013 წლიდან ის შემცირდა უმნიშვნელო ტემპებით და მან 2017 წელს შეადგინა 10,8%. დასასრულს, განვითარებადი ქვეყნების იმპორტის დასკვნით მუხლს წარმოადგენს ლითონები, რომელთა იმპორტიც საერთო მოცულობის 2,2,%

შეადგენს. ამდენად, განვითარებადი ქვეყნების იმპორტის ძირითად მუხლს წარმოადგენს მანქანების, მოწყობილობის, სხვა ტექნოლოგიური საქონლის იმპორტი, რომელთა შიდა წარმოებაც გართულებულია განვითარებადი სამყაროს მრავალ ქვეყანაში. ასევე მაღალია სასურსათო საქონლის იმპორტი, რომელიც ამის მიუხედავად, იწყებს შემცირებას. საინტერესოს წარმოადგენს ის, რომ იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მრავალი განვითარებადი ქვეყანა წარმოადგენს საწვავისა და სხვა ნედლეულის ექსპორტიორს, ზოგიერთი მათგანი გრძნობს ამ პროდუქციის ნაკლებობას ანუ იძულებულია განახორციელოს მისი იმპორტი. სწორედ ამიტომ საწვავისა და სხვა ნედლეულის იმპორტის წილი საკმაოდ მაღალია. მაღალია შემოტანილი ტანსაცმლისა და ტექსტილის წილიც, რომელმაც 2017 წელს შეადგინა განვითარებადი ქვეყნების საერთო იმპორტის 15%. ქიმიური მრეწველობის პროდუქტების იმპორტი ასევე შეადგენს განვითარებადი ქვეყნების იმპორტოს საკმაოდ მნიშვნელოვან მუხლს შეადგენს რა 10,8 %.

სურსათის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორები არიან სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნები, თუმცა ცალკეული საქონლების ბაზარზე წამყვანი ადგილი უკავიათ ყოფილ სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებს. სურსათის ყველა სახეობის მსოფლიო ვაჭრობაში, თევზისა და ზღვის პროდუქტების გამოკლებით, სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების წილს ზრდის ტენდენცია აქვს. რძის პროდუქტებში იგი აღემატება 95%-ს, მარცვლეულის, ხორცისა და სასმელების მიხედვით შეადგენს 80- 90%-ს, ხილის, ბოსტნეულის, თევზის მიხედვით კი შეადგენს 60%-ს. ყველაზე ძლიერი პოზიცია განვითარებად ქვეყნებს უკავიათ: ტროპიკული პროდუქტების ექსპორტში _ მსოფლიო ექსპორტის 90%, შაქრის _50%-ზე მეტი, თევზის, ზეთოვანი კულტურების, ხილისა და ბოსტნეულის 30-35%, მარცვლეულისა და ხორცის 10%. სურსათის უმეტესი სახეობების იმპორტში, უკანასკნელ წლებში, განვითარებული ქვეყნების წილი შემცირდა, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისა კი გაიზარდა. თევზის, ყავის, კაკაოს, ჩაის, სასმელების იმპორტში, განვითარებული ქვეყნების წილი შეადგენს 80-90%-ს, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის იმპორტში 75- 80%-ს, ზეთოვანი კულტურებისა და რძის პროდუქტების იმპორტში 60-65%-ს, მარცვლეულის იმპორტში-43%-ს, შაქრის

იმპორტში-25%-ს. განვითარებადი ქვეყნების იმპორტში ძირითადი პოზიციები ეკუთვნით: მარცვლეული- მსოფლიო იმპორტის 40%-ზე მეტი, 31 შაქარი, ზეთოვანი კულტურები, რძის პროდუქტები, ხორცი მსოფლიო იმპორტის 20-30%[41].

იმისა გასაგებად, თუ რომელი ქვეყნები ახორციელებენ უმეტესად ექსპორტს განვითარებად ქვეყნებში, განვიხილოთ მესამე სამყაროს ქვეყნების იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა.

2.3. განვითარებადი ქვეყნების იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა

იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა ბევრი რამით განსხვავდება ექსპორტის ანალოგიური სტრუქტურისგან (იხ. ცხრ.N2.5)

ცხრილი N2.5 განვითარებადი ქვეყნების იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა[42]

	2014		*2015*		*2016*	
	მლ.დოლარი	*%*	*მილ.დოლარი*	*%*	*მილ.დოლარი*	*%*
განვითარებულები	***1680,1***	***48,1***	***1873,5***	***45,8***	***2137,4***	***43,7***
EC	844,3	24,1	955,3	23,3	1148,2	23,4
იტალია	99	2,8	108,1	2,6	130,9	2,6
აშშ	75,2	2,1	85,2	2	91,3	1,8
იაპონია	361,6	10,3	387,6	9,4	419	8,5
საფრანგეთი	106,1	3	113,9	2,7	131,4	2,6
განვითარებადი	***1712,3***	***49***	***2086,2***	***51***	***2586,9***	***52,9***
აზია	1032,9	29,6	1232,7	30,1	1520,9	31,1
მალაიზია	89,2	2,5	99	2,4	118,9	2,4
კორეა	155,9	4,4	186,9	4,5	223,8	4,7
ჩინეთი	309,8	8,8	391,7	9,5	501,5	10,2
ლათინური ამერიკა	159,1	4,5	196,5	4,8	246,2	5
ბრაზილია	53,1	1,5	67,1	1,6	81,4	1,6

[41] ა. ოქროცვარიძე, დ. ოქროცვარიძე მ. ვადაჭკორია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2009 გვ.31

[42] Импорт товаров и услуг (долл. США)(11.06.2019) https://knoema.ru/atlas/topics/%D0%92%D0%BD%D0%B5%D1%88%D0%BD%D1%8F%D1%8F-%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BB%D1%8F/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82-%D1%82%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%B8-%D1%83%D1%81%D0%BB%D1%83%D0%B3

არგენტინა	7,8	0,2	18,8	0,4	17,3	0,3
აფრიკა	1,09	0,03	0,8	0,01	0,9	0,01
ოკეანია	0,1	0,002	0,1	0,002	0,2	0,004
გარდამავალი ეკონომიკით	***189,1***	***5,4***	***255,7***	***6,2***	***322,4***	***6,5***
რუსეთი	***98,5***	***2,8***	***124,6***	***3***	***150,2***	***3***
აღმოსავლეთ ევროპა	***90,6***	***2,5***	***131,1***	***3,2***	***172,2***	***3,5***

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, განვითარებადი ქვეყნების ძირითად პარტნიორებს წარმოადგენენ განვითარებადი მსოფლიოს ქვეყნები. იმპორ-ტული მიწოდებების წილი, რომლებიც მოდის განვითარებად სახელმწიფოებზე, ყოველწლიურად იზრდება, საშუალოდ 1,5%-ით. 20016 წელს ამ წილმა შეადგინა 52,9%[43].

განვითარებადი მსოფლიოს რეგიონებს შორის ძირითადი პერტნიორებია აზიის ქვეყნები, რომელთა წილზე მოდის 31,1%. აქ, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფენ ჩინეთს. ჩინეთიდან იმპორტული მიწოდებები ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 1%-ით. მისი წილი განვითარებადი ქვეყნების იმპორტში 2006 წელს შეადგინა 10,2% ანუ 501,5 მლრდ. დოლ. აბსოლუტური გამოხატულებით. უფრო დაბალ მაჩვენებლებს აზიის ქვეყნებს შორის გვიჩვენებენ კორეა და მალაიზია - შესაბამისად, 47% და 2,4%. ლათინური ამერიკა ახდენს საექსპორტო მიწოდებების კონცენტრაციას განვითარებად სამყაროში 246,2 მლრდ. დოლარით, რამაც შეადგინა 2006 წელს იმპორტის საერთო მოცულობის 5%. აქ, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფენ ბრაზილიას და არგენტინას - შესაბამისად, 1,6% და 0,3%[44].

---

[43] Импорт товаров и услуг (долл. США)(11.06.2019) https://knoema.ru/atlas/topics/%D0%92%D0%BD%D0%B5%D1%88%D0%BD%D1%8F%D1%8F-%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BB%D1%8F/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82-%D1%82%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%B8-%D1%83%D1%81%D0%BB%D1%83%D0%B3

[44] Импорт товаров и услуг (долл. США) (11.06.2019)

აფრიკისა და ოკეანიის ქვეყნები არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, რადგან იმპორტი ამ სახელმწიფოებიდან მინიმალურია.

განვითარებული მსოფლიოს ქვეყნების თვალსაზრისით ძირითად ექსპორ-ტიორს განვითარებად სახელმწიფოებში წარმოადგენსც იაპონია. ამასთან ერთად, ჩანს, რომ იაპონიიდან იმპორტული მიწოდებების წილი ყოველწლიურად მცირდება საშუალოდ 0,5%-ით. 2006 წელს ამ წილმა შეადგინა 8,5% ანუ 419 მლრდ. დოლარი. იტალიიდან და საფრანგეთიდან მიწოდებების წილები 2006 წელს გათანაბრდნენ და შეადგინენ იმპორტის საერთო მოცულობის 2,6%.[45]

აქ საინტერესო მდგომარეობაშია აშშ. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, აშშ ლიდერია ქვეყნებს შორის, სადაც დომინირებენ საექსპორტო მიწოდებები განვითარებადი ქვეყნებიდან, მიუხედავად ამისა, თვით ეს სახელმწიფო აწარმოებენ საქონლის ექსპორტს განვითარებად ქვეყნებში 91,3 მლრდ. დოლარის ოდენობით და ამ მაჩვენებლით უმდაბლეს პოზიციებს იმ განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომლებიც აწარმოებენ საქონლის ექსპორტს განვითარებად მსოფლიოში.

2015 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორების ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი (17%), ჩინეთი (8.1%), რუსეთი (7.3%), აზერბაიჯანი (7.2%) და უკრაინა (6.0%). აქვე აღსანიშნავია, რომ უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების ხუთეული 2015 წელს 2014 წელთან შედარებით არ შეცვლილა[46].

რაც შეეხება იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს, ღირებულების მიხედვით, პირველ ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მეორეზე სამკურნალო საშუალებები, ხოლო მესამეზე მსუბუქი ავტომობილები. საქართველოში ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების იმპორტი ძირითადად აზერბაიჯანსა და რუმინეთიდან ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის იანვარ-ივლისში 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იმპორტირებული ნავთობის ღირებულება

[45] იქვე

[46] თ. დუშუაშვილი, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის ანალიზი(11.06.2019) 01 ოქტომბერი, 2015 http://forbes.ge/blog/139/umsxvilesi-sasaqonlo-jgufebis-importis-analizi

შემცირდა, ქვეყანამ განახორციელა 19%-ით მეტი ოდენობის ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების იმპორტი, რაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების კლებით აიხსნება.

იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფებიდან ღირებულების პროცენტულად ყველაზე დიდი მატება დაფიქსირდა სამკურნალო საშუალებებზე, რაც დიდი ალბათობით ლარის გაუფასურებითაა გამოწვეული. აღნიშნულზე მეტყველებს წლიური ინფლაციის მაჩვენებელიც, ვინაიდან 2015 წლის აგვისტოში, 2014 წლის აგვისტოსთან შედარებით, ჯანმრთელობის დაცვაზე ფასებმა 9.1%-ით მოიმატა. იქიდან გამომდინარე, რომ სამკურნალო საშუალებები პირველადი მოხმარების საგნებს განეკუთვნება და მოთხოვნის ელასტიურობით ნაკლებად გამოირჩევა, გასაკვირი არაა, რომ მასზე ღირებულების ზრდის მიუხედავად დისტრიბუტორები კვლავაც განაგრძნობენ ქვეყანაში სამკურნალო საშუალებების იმპორტს, ვინაიდან მასზე მოთხოვნა ფასის ცვლილებას საგრძნობლად არ პასუხობს. სამკურნალო საშუალებები საქართველოში უმეტესწილად რუსეთიდან, თურქეთიდან და გერმანიიდან შემოდის.

როგორც აღვნიშნეთ, იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებში მესამე ადგილი მსუბუქ ავტომობილებს უკავია. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში რეექსპორტის ხასიათს ატარებდა და უმეტეს შემთხვევაში ექსპორტზე გადიოდა აზერბაიჯანის ბაზარზე. მაგრამ, ვინაიდან 2014 წლის აპრილში აზერბაიჯანი გადავიდა ევრო 4-ის ეკოლოგიურ სტანდარტზე და ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების შემცირების მიზნით შეზღუდა გარკვეული ტიპის ავტომობილების გამოყენება, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა მიმზიდველობა დაკარგა. შესაბამისად, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში, 2014 წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით, შემცირებულია როგორც მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ღირებულება, ასევე იმპორტის მოცულობა. ერთადერთი ქვეყანა, საიდანაც ავტომობილების იმპორტის მოცულობის ზრდა ფიქსირდება იაპონიაა, ხოლო იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილები უმეტესად პირადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და მისი იმპორტი ნაკლებად ხდება რეექსპორტის მიზნით[47].

---

[47] თ. დუშუაშვილი, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის ანალიზი(11.06.2019) 01 ოქტომბერი, 2015 http://forbes.ge/blog/139/umsxvilesi-sasaqonlo-jgufebis-importis-analizi

ცხრილი N 2.6. უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში[48]

	2014 წ. იანვარი-აგვისტო		2015* წ. იანვარი-აგვისტო	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
იმპორტი – სულ	**5 498 294.9**	**100**	**4 936 503.7**	**100**
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	611 076.2	11.1	443 129.9	9.0
სამკურნალო საშუალებები	201 328.6	3.7	428 197.8	8.7
მსუბუქი ავტომობილები	461 722.2	8.4	316 588.8	6.4
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალ-ბადები	214 301.4	3.9	261 749.7	5.3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	127 466.3	2.3	135 950.3	2.8
სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის	113 686.8	2.1	92 669.4	1.9
ხორბალი	86 914	1.6	66 261.5	1.3
სიგარეტები	65 228.9	1.2	60 873.2	1.2
მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან	6 459.6	0.1	48 254.0	1.0
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - ე.წ. „არმატურა“	41 371.4	0.8	37 756.4	0.8
დანარჩენი საქონელი – სულ	3 568 739.5	64.9	3 045 072.7	61.7

მიუხედავად იმპორტის ღირებულების კლებისა, რაც უმეტესწილად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, საქართველო მაინც იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყანად რჩება. ხშირ შემთხვევაში კი ხორციელდება პირველადი მოხმარებების საშუალებების იმპორტი, რაზეც მოსახლეობა ფასის ზრდის მიუხედავად უარს ვერ

[48] თ. დუშუაშვილი, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის ანალიზი(11.06.2019) 01 ოქტომბერი, 2015 http://forbes.ge/blog/139/umsxvilesi-sasaqonlo-jgufebis-importis-analizi

ამბობს და რისი ჩანაცვლებაც, სამწუხაროდ, ადგილობრივი წარმოებით ვერ ხერხდება[49].

საქართველოში 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საგარეო სექტორის აქტივობის, კერძოდ კი საექსპორტო შემოსავლების, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების, მატების კუთხით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს მხოლოდ 7.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დადებითი იყო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე პოზიტიურად მოქმედებდა მომსახურებით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება, რომელიც 2018 წელს 220 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული შემოსავლების 518 მლნ აშშ დოლარით (19 პროცენტი) ზრდა. საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2018 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2 პპ-ით გაუარესდა და 25.4 პროცენტი შეადგინა. როგორც აღვნიშნეთ, 2018 წლის განმავლობაში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, ძირითად, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში გაჯანსაღებული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად გაზრდილ საგარეო მოთხოვნას უკავშირდება. ექსპორტის უფრო მეტად ზრდა გარკვეულწილად თურქეთის ეკონომიკაში არსებულმა სიძნელეებმა შეაფერხა, რის შედეგადაც, წლის მეორე ნახევარში საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი შენელდა. საბოლოდ, წლიურად საქონლის ექსპორტის 23.4 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა. იმპორტი კი 2018 წელს არათანაბრად იზრდებოდა. პირველ ნახევარში იმპორტის ზრდა საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შემცირდა. მთლიანად, 2018 წლის განმავლობაში, საქონლის იმპორტი 15.5 პროცენტით გაიზარდა და ექსპორტის ზრდის მოცულობა მცირედით გადაწონა.[50]

საქართველოში 2018 წელს საქონლის იმპორტის

---

[49]თ. დუშუაშვილი, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის ანალიზი(11.06.2019) 01 ოქტომბერი, 2015 http://forbes.ge/blog/139/umsxvilesi-sasaqonlo-jgufebis-importis-analizi

[50] სებ-ის წლიური ანგარიში 2018 გვ.15

მატება, შედარებით გააქტიურებული შიდა მოთხოვნის შედეგად, უმეტესწილად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდით (16.2 პროცენტი) იყო განპირობებული. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი ბოლო 2 წლის მანძილზე კვლავ გააქტიურდა და წლიურად 14.2 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, საინვესტიციო ტიპის საქონლის იმპორტის წლიური ზრდა 12.4 პროცენტი იყო, თუმცა, ამ საქონლის იმპორტმა იმპორტის მთლიან ზრდაში უმნიშვნელო წვლილი შეიტანა. 2018 წელს უმსხვილესი საიმპორტო საქონელი, მთლიანი იმპორტის 9.5-პროცენტიანი წილით, კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი იყო ასევე ნავთობის ფასების ცვლილების ეფექტი. კერძოდ, 2018 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების მატება იმპორტზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში დაბალმა ზრდამ ჩაანაცვლა, რაც დიდწილად მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასის შემცირებამ განაპირობა. გასულ წელთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილებისა და სიგარეტებისა და სიგარილების გააქტიურებულმა იმპორტმა მთლიანი იმპორტის ზრდაში გაზრდილი წვლილი (2.6 პპ) შეიტანა. აღსანიშნავია ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტის წლიური 17-პროცენტიანი ზრდა (მთლიანი იმპორტის 4.4 პროცენტი), რაც ბოლო წლებში სპილენძის რეექსპორტის გააქტიურებას უკავშირდება. შედარებისთვის, იმპორტის მატების 37 პროცენტი მსუბუქი ავტომობილების, სიგარეტების, ნავთობაირებისა და სპილენძის მადნების იმპორტის მოცულობის ზრდის ხარჯზე მოდის, რაც, გარკვეულწილად, რეექსპორტის გააქტიურების შედეგია. იმპორტის რეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2018 წელს იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ევროკავშირის (19.6 პროცენტი), ასევე დანარჩენი ქვეყნებიდან (13.1 პროცენტი).

წლიურად რეგისტრირებული საქონლის იმპორტის ზრდამ 15 პროცენტი - 100 200 300 400 500 600 სპილენძის მადნები, ავტომობილები, ფეროშენა დნობები ღვინოები სიგარეტები სამკურნალო საშუალებები სპირტიანი სასმელები მინერალური წყლები სასუქები ოქრო მლნ აშშ დოლარი 2017 2018 31 შეადგინა. ზრდის მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა რუსეთი, სომხეთი და უკრაინა. ევროკავშირის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის ზრდაში დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთიდან (1.6 პპ) და ბელგიიდან (1.7

პპ) იმპორტის მატებამ. გააქტიურებულია იმპორტი დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან, როგორიცაა თურქმენეთი და ყაზახეთი. წინა წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის შემდეგ, კვლავ თურქეთი ლიდერობს, თუმცა, 2018 წელს თურქეთიდან იმპორტი წინა წლის მაჩვენებელს მხოლოდ 7.1 პროცენტით აღემატება. რუსეთიდან იმპორტი 17.5 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 9.0 პროცენტი შეადგინა. ჩინეთიდან იმპორტის მატება (13.8 პროცენტი) უმეტესწილად ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავების იმპორტმა განაპირობა[51] (იხ. დიაგრამა N2.1).

2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2 807.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 826.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.8 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 981.3 მლნ. აშშ დოლარს (4.7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-მარტში, 1 155.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5 პროცენტით გაიზარდა და 553.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2014-2019 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

დიაგრამა N 2.1 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2018 წ[52].

[51] საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018 (11.06.2019) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf

[52] ექსპორტ-იმპორტის ინფორმაცია(11.06.2019) https://www.mof.ge/export_importis_informacia



დიაგრამა N 2.2. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ. იანვარ-მარტში (მლნ. აშშ დოლარი)[53]



[53] საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018(11.06.2019) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf

დიაგრამა N 2.3. 2014-2019 წწ. იანვარ-მარტის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში (%)[54]



ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს 2017-2019 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

2019 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 196.0 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 6.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 23.7 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 502.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (17.8 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.3 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 698.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 14.9 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მარტში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 26.5 პროცენტით განისაზღვრა.

[54] საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018(11.06.2019)
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf

დიაგრამა N 2.4. ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში. 2017-2019 წწ[55]



2019 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 416.1 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 37.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 50.4 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 576.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (13.5 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 29.1 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 992.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.4 პროცენტით მეტია, რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მარტში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 13.8 პროცენტი იყო. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.

[55] საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018(11.06.2019) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf

დიაგრამა 2.4. ქვეყნების ჯგუფების წილი იმპორტში 2019* წლის იანვარ-მარტში[56]



ცხრილი 2.7. უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში[57]

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
იმპორტი – სულ	2 078 211.4	100.0	1 981 294.4	100.0	-4.7
მათ შორის:					
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	186 881.2	9.0	150 446.0	7.6	-19.5
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	119 048.5	5.7	131 480.0	6.6	10.4
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	79 613.4	3.8	120 226.9	6.1	51.0
მსუბუქი ავტომობილები	119 807.9	5.8	119 046.4	6.0	-0.6
მედიკამენტები დაფასოებული	72 118.0	3.5	89 346.8	4.5	23.9
სატელეფონო აპარატები	44 669.2	2.1	39 033.1	2.0	-12.6
ელექტროენერგია	27 217.6	1.3	23 063.3	1.2	-15.3
ხორბალი და მესლინი	28 410.1	1.4	22 809.7	1.2	-19.7
რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი	18 220.7	0.9	22 442.7	1.1	23.2
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები	23 790.9	1.1	16 857.2	0.9	-29.1
დანარჩენი საქონელი – სულ	1 358 434.0	65.4	1 246 542.3	62.9	-8.2

[56] საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018(11.06.2019)
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf
[57]საქართველოს სტატი სტიკის ეროვნული სამსახური(11.06.2019)
https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019-%28geo%29.pdf

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 150.4 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.6 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობის აირები 131.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრანტები 120.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.1 პროცენტი).

დასკვნა

საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს საფუძვლად კონკრეტული მოტივები აქვს. ეს მოტივები განპირობებულია უცხო ბაზრების უპირატესობების გამოყენების პერსპექტივით. საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს, ასევე ყოველთვის ახლავს ახალი საფრთხეები და საშიშროებები. მოკლედ მათ შესახებ: მოტივებს და შესაბამისად უპირატესობებს მიეკუთვნება: გაყიდვების ზრდა, ბაზრების დივერსიფიკაცია, გამოცდილების შეძენა და ხშირად შიდა ბაზართან შედარებით უფრო მაღალი სარგებელის მიღების პერსპექტივა. შიდა ბაზარზე გაყიდვების ზრდის შეჩერება ძლიერი სტიმულია კომპანიებისათვის დაიწყონ ახალი ბაზრების ძიება.

საგარეო ვაჭრობის და იმპორტის მაჩვენებლების ანალიზი და პროგნოზირების საკითხი წარმოადგენს კომპლექსურსა და აქტუალურ საკითხს, განსაკუთრებით ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და კრიზისის პერიოდში. ანალიზისა და პროგნოზირების მოდელების შემუშავებისას მნიშვნელოვან ამოცანაა ინფლაციური პროცესების

გავლენის შეფასება საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე. ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა ექსპორტირებული და იმპორტირებული პროდუქციის შიგა და მსოფლიო ფასების პროგნოზირების საკითხის გადაწყვეტა. რთულია ინფლაციის კავშირის ანალიზი ლარის რეალურ კურსთან, კონკურენტუნარიანობასთან, ექსპორტიდან და იმპორტიდან მოღებულ ბიუჯეტის შემოსავლებთან და კონიუნქტურასთან. საზღვარგარეთული მოდელების მიხედვით, ყველაზე მთავარ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს იმპორტზე, წარმოადგენს რეალური მშპ და ეროვნული ვალუტის რეალური კურსი. იმპორტი იყოფა საქონლის ჯგუფების მიხედვით. მიზანშეწონილია იაფი და ძვირი საქონლის ქვეჯგუფების გამოყოფა. პირველი ჯგუფი დაკავშირებულია დეპინგთან და მოითხოვს განსაკუთრებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მეორე კი დამოკიდებულია მოსახლეობოს რეალური შემოსავლების სიდიდეზე. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ექსპორტი, ამოტომ აუცილებელია იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ მის სიდიდეზე. ზოგიერთი საზღვარგარეთული მოდელების თანახმად, ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ექსპორტის მოცულობას წარმოადგენს წარმოების მოცულობა და ფასი. ქვეყანაში წარმოების საერთო მოცულობის რა ნაწილი მოდის ექსპორტზე დამოკიდებულია შიგა ფასებზე და იმ ფასებზე, რომლის მიხედვით მოცემული საქონელი შეიძლება გაიყიდოს საზღვარგარეთ (მსოფლიო ფასები). ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის, საექსპორტო ბაჟის, გადასახადების, სუბსიდიების და შიგა დანახარჯების ცვლილების შედაგად ყალიბდება ცვალებადი შეფარდებითი ფასები. გაცვლითი კურსის შემცირება იწვევს საექსპორტო ფასის ამაღლებას ეროვნულ ვალუტაში, და შესაბამისად, ექსპორტის მომგებიანობას ქვეყნის შიგნით პროდუქციის გაყიდვასთან შედარებით. ანალოგიურ მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ექსპორტზე სუბსიდიები.

მშპ-ს რეალური მოცულობის ცვლილება გავლენას ახდენს იმპორტის ცვლილებაზე. გამოიკვეთა არაწრფივი სტატისტიკური კავშირი მიმდინარე ფასებში იმპორტსა და მშპ-ს წლიური ზრდის ტემპისა და მისი საშუალო მნიშვნელობის

მაჩვენებლებს შორის. კრიზისის პერიოდში ადგილი აქვს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას და შესაბამისად პროდუქციის გამოშვების შემცირებას აქ შეიმჩნევა ცნობილი კანონზომიერება, რომ დაცემის პერიოდებში შიგა ბაზრის უფრო მეტი შეზღუდულობის გამო ექსპორტი არ მცირდება, პირიქით იმატებს კიდეც

გამოყენებული ლიტერატურა

1. დუშუაშვილი თ., უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის ანალიზი(11.06.2019)
   01 ოქტომბერი, 2015 http://forbes.ge/blog/139/umsxvilesi-sasaqonlo-jgufebis-importis-analizi
2. მიქაბერიძე თ. საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში დისერტაცია თბ. 2016,
3. ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009
4. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი) „უნივერსალი"თბილისი 2011
5. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, "ახალი საქართველო",თბ., 2010
6. საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018(11.06.2019) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf

7. საქართველოს სტატი სტიკის ეროვნული სამსახური(11.06.2019) https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019-%28geo%29.pdf
8. Balassa, B. 1(970), Growth Strategies in Semi-Industial Countries. "The Quarterly Journal of Economics". February. 16
9. Bank for International Settlements, 2012. P. 24–26.
10. Daniel J. International Business. N.U. 2008;
11. Douglas, P. S. (1970). Development Strategies in Open Dualistic Economics. National Planning Association. Washington. P. 10. 17
12. Griffin R., Pustay M. International Business: A Managerial Perspective. Reading, MA: Addison –Westey Publishing Co., 2004
13. Tinbergen, J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm
14. Lachrriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva.
15. Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p.9 19
16. Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y.,. P.45
17. Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y., P.295 16
18. Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7. 12.
19. Trade Strategy for Rich and Poor Nations". (1971). Ed. By Johnson H.G.. London..p.22
20. World Bank. World Development Indicators, 2000, pp.330-332
21. World Trade Organization. International Trade Statistics 2017.https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2017/01/weodata/index.aspx
22. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/04/04/world-economic-outlook-april-2017
23. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г.Медведева, СПБ.: Питер, 2006.
24. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г. Медведева, СПБ.: Питер, 2006.
25. Доклад о человеческом развитии. 2013. Опубликовано для программы развития ООН. Нью-Йорк, 2013. С. 46; ОДЧР; The Economist 2012b.
26. Доклад о человеческом развитии 2013. Нью-Йорк, 2013. С. 52–54.
27. Деннелс Дж. Д. Радеба Л. Х. Международный бизнес. М.,1994
28. Чинченов М.В., Основы международного бизнеса: Органи-зационные основы, инфраструктура, тактика и стратегия.КноРус, 2009.
29. Импорт товаров и услуг (долл. США) https://knoema.ru/atlas/topics/%D0%92%D0%BD%D0%B5%D1%88%D0%BD%D1%8F%D1%8F-%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BB%D1%8F/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82/%D0%98%D0%BC%D0%BF%D0%BE%D1%80%D

1%82-%D1%82%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%B8-%D1%83%D1%81%D0%BB%D1%83%D0%B3 (11.06.20019)